2024

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმა

მომზადებულია შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“-ს მიერ
9/24/2024

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმა

დამკვეთი: *სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“*

ფინანსური მხარდაჭერა: *შვედეთის მთავრობა;*

შემსრულებელი: *შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“*

პროექტი: *„გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“*

თბილისი, 2024

ტერმინთა განმარტება

ადმინისტრაცია - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

სააგენტო - სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

სამინისტრო - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კოდექსი - ნარჩენების მართვის კოდექსი

ნარჩენების მართვა - დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების შეგროვება, დროებითი შენახვა, წინასწარი დამუშავება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება

ნარჩენების გამოტანა - ნარჩენების გამოტანა დაცული ტერიტორიების საზღვრებიდან შეგროვების უბანზე, მუნიციპალურ კონტეინერებში ან საბოლოო დამშავების ადგილებზე

ნარჩენების დამუშავება - ნარჩენების აღდგენა ან განთავსება

ნარჩენების აღდგენა - კოდექსის I დანართით გათვალისწინებული ოპერაციები

ნარჩენების განთავსება - კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ოპერაციები

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა შეგროვების ადგილებიდან დამუშავების უბნებამდე

კონტრაქტორი - ტენდერის გზით გამოვლენილი კომპანია, რომელიც აწარმოებს რაიმე სახის განახლების ან სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ან კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების ტრანსპორტირება-განთავსებას

ინვესტორი - კომპანია, რომელიც გეგმავს დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურისტული სერვისების განვითარებას

მოიჯარე - კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურისტული სერვისების ოპერირებას

სარჩევი

1 შესავალი 4

2 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიები 5

3 დაინტერესებული მხარეები და მათთან კომუნიკაცია 8

4 ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი და ამოცანები 13

5 ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ბაზა 13

6 არსებული სიტუაციის ანალიზი 14

6.1 ნარჩენების წარმოქმნის წყაროები და შემადგენლობა 14

6.2 ნარჩენების წარმოქმნა სეზონურ ჭრილში 18

6.3 ნარჩენების მართვის მოქმედი პრაქტიკა 18

6.3.1 კომპეტენციები ნარჩენების მართვის პროცესში 18

6.3.2 დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა 19

6.3.3 ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირები 20

6.3.4 კონტრაქტორები ნარჩენების მართვის სფეროში 20

6.3.5 ნარჩენების შეგროვების და მართვის მოქმედი პრაქტიკა 20

6.4 არსებული პრობლემები და გამოწვევები 21

6.4.1 ნარჩენებით დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ლოკაციები 23

7 საპროგნოზო მაჩვენებლები 28

7.1 მომსახურე პერსონალის ზრდის პროგნოზი 28

7.2 ტურისტული ნაკადების ზრდის პროგნოზი 28

7.3 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის და ატრაქციების განვითარების პერსპექტივები 28

7.4 ნარჩენების საპროგნოზო მაჩვენებლები 29

8 ნარჩენების მართვის ალტერნატივების ანალიზი 31

8.1 ნარჩენების შემცირების ალტერნატივები 31

8.2 ნარჩენების შეგროვების და გამოტანის ალტერნატივები 32

8.3 ნარჩენების წინასწარი დამუშავების ალტერნატივები 33

8.4 ნარჩენების აღდგენის ალტერნატივები 33

8.5 ნარჩენების დროებითი შენახვის ალტერნატივები 33

8.6 ნარჩენების ტრანსპორტირების ალტერნატივები 34

9 ნარჩენების მართვის დაგეგმვა 35

9.1 ნარჩენების პრევენციის და შემცირების ღონისძიებები 35

9.2 ნარჩენების შეგროვება და სეპარირების მეთოდები 35

9.2.1 მოთხოვნები ნარჩენების შეგროვების და გამოტანის პროცესში 36

9.3 ნარჩენების ტრანსპორტირების პირობები 37

9.4 ნარჩენების საბოლოო განთავსება ან აღდგენა 37

9.5 მოთხოვნები კონტეინერების შერჩევასა და განთავსებასთან დაკავშირებით 41

9.6 საინფორმაციო ნიშნები 43

9.7 კომპოსტირება 46

9.8 ეკოგანათლება და ცნობიერების ამაღლების პროგრამები 47

9.9 მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა ნარჩენების მართვის პროცესში 47

9.10 ადამიანური და ტექნიკური რესურსი 49

10 ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა 50

11 ნარჩენების მართვის სისტემის მონიტორინგი და ანგარიშგება 57

12 ძირითადი რეკომენდაციები 57

13 დანართები 59

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების (ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნემვის აღკვეთილი, ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი) ნარჩენების მართვის გეგმას. დოკუმენტი შემუშავებულია პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მათ შორის, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“. პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის დაფინანსებით.

პროექტის მიზანია დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების, გენერალური გეგმების, წყლის რესურსების მართვის გეგმების და ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება, განახლება და დახვეწა, აღნიშნული დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის“, როგორც ქვეყნის მასშტაბით არსებული დაცული ტერიტორიების მართვაზე პასუხისმგებელი უწყებისათვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დაცულ ტერიტორიებზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა. დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ბიომრავალფეროვნების, ნიადაგისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ნარჩენების მდგრადი მართვის ინტეგრირებული და ეფექტიანი სისტემის დანერგვა.

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების მართვის 2022 – 2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 2.1.2 აქტივობის შესრულების მიზნით, რაც გულისხმობს 2024 IV კვარტლამდე დონორთა დახმარებით საქართველოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებას.

გეგმა შემუშავებულია საქართველოს კანონის - „ნარჩენების მართვის კოდექსით“ მოთხოვნილი ნარჩენების მართვის პრინციპების და ვალდებულებების გათვალისწინებით. კოდექსის მიხედვით ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, კერძოდ, ისე, რომ ნარჩენების მართვამ:

- საფრთხე არ შეუქმნას წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორას და ფაუნას;
- არ გამოიწვიოს ზიანი ხმაურითა და სუნით;
- არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით – დაცულ ტერიტორიებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე.


წინამდებარე დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიით“ განსაზღვრულ მიმართულებებს სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

2 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიები

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში და მოიცავს მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს. დაცული ტერიტორიების ჯამური ფართობია 107 649 ჰა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების მდებარეობა ნაჩვენებია ნახაზზე 2.1.

ნახაზი 2.1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა



ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფართობი 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 107 649.1 ჰექტარს. მოიცავს ოთხი სხვადასხვა კატეგორიის 5 დაცულ ტერიტორიას:

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას). ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონში, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, ხარაგაულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში და მისი ფართობი შეადგენს 64 756 ჰა-ს. ჩრდილოეთ საზღვარი გადის მესხეთის ქედის თხემურ ნაწილში და ლიხის ქედის ჩრდილო და აღმოსავლეთ კალთებზე. სამხრეთი საზღვარი გადის მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ და მესხეთის ქედის მაღალ ნიშნულებზე. დასავლეთით ეროვნული პარკის საზღვარი მიუყვება მდ. ოცხეს და მისი მარჯვენა შენაკადის წყალგამყოფის თხემურ ნაწილს;

- ბორჯომის ნაკრძალი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების I კატეგორიას). ფართობი - 13 168,6 ჰექტარი. მოიცავს ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილს, მესხეთის ქედის თხემიდან მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირამდე;
- ნეძვის აღკვეთილი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას). ფართობი - 9 212,5 ჰექტარი. ვრცელდება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან თრიალეთის ქედის თხემურ ნაწილებამდე;
- ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას). ფართობი - 20 476 ჰექტარი. მდებარეობს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში და მოიცავს სამსარის ქედის დასავლეთ კალთებს და ჯავახეთის ზეგნის ნაწილს.
- გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას). ფართობი - 36 ჰექტარი. წარმოადგენს პლიოცენის პერიოდის განამარხებული ფლორისა და ფაუნის უნიკალურ ადგილსამყოფელს, რომელიც წარმოდგენილია ძეგლის ფარგლებში 3 მონაკვეთზე, ზღვის დონიდან 1600-2100 მ სიმაღლეზე.

ბორჯომის ნაკრძალი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთ პირველ დაცულ ტერიტორიას. მისი ისტორია იწყება მე-19 საუკუნის ბოლოდან, როდესაც ბორჯომის ხეობის ტყის დიდი ნაწილი შემოიღობა და უნებართვოდ ხე-ტყის მოჭრა და ნადირობა აიკრძალა. 1935 წელს დაარსდა ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი. მე-20 საუკუნის ბოლოს კავკასიის რეგიონში პირველი ეროვნული პარკის დაარსებას ჩაეყარა საფუძველი. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეიქმნა 1995 წელს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და გერმანიის მთავრობის დახმარებით.


თანამედროვე კონფიგურაციით ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები (ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ნეძვის აღკვეთილი) შეიქმნა, საქართველოს კანონის ,,ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საფუძველზე.

- ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების, მონიტორინგის, სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით.
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეიქმნა ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოსისტემის დაცვისა და რეკრეაციული საქმიანობისთვის.
- ნეძვის აღკვეთილი შეიქმნა ბუნებრივი პირობების დაცვისთვის, რაც აუცილებელია ეროვნული მნიშვნელობის მქონე იმ ცოცხალი ორგანიზმების სახეობების ჯგუფებისა ან გარეული სახეობების, ბიოცენოზებისა და არაორგანული ბუნებრივი ფორმაციების შესანარჩუნებლად, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და აღდგენას.
- ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი შეიქმნა ტერიტორიაზე გავრცელებული იშვიათი სახეობის ფრინველების და მათი საარსებო გარემოს – უნიკალური ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და მაღალმთის ეკოსისტემების დასაცავად.
- გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი შეიქმნა თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური, იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, იშვიათი ძეგლების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით.

დღეის მდგომარეობით ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებულიდან, გამოსაყოფია შემდეგი ტურისტული მარშრუტები:

1. **ნიკოლოზ რომანოვის** ბილიკი /<u>43 კმ, 3 დღე, საფეხმავლო და საცხენოსნო, საშუალო სირთულის/</u>
2. **ანდრია პირველწოდებულის** ბილიკი /54 კმ, 4 დღე, საფეხმავლო და საცხენოსნო რთული/
3. **პანორამების წრიული** ბილიკი /34 კმ, 2 დღე, საფეხმავლო და საცხენოსნო, რთული/.
4. **ზეკარის უღელტეხილის** ბილიკი / 24 კმ, 2 დღე, საფეხმავლო, რთული /
5. **ნაკვალევის** ბილიკი /13 კმ, 6 სთ, საფეხმავლო, საშუალო სირთულის/
6. **საინფორმაციო** ბილიკი /3 კმ, 2 სთ, საფეხმავლო, საშუალო სირთულის/
7. **მეღრუკის ხეობის** ბილიკი /5.5 კმ, 6 სთ, საფეხმავლო და საცხენოსნო, საშუალო სირთულის/
8. **სამეცხვარეოს** ბილიკი /54 კმ, საფეხმავლო და საცხენოსნო, რთული/
9. **თოვლის ფეხსაცმლის** ბილიკი /15.5 კმ, საფეხმავლო, საშუალო სირთულის/ #9 თოვლის ფეხსაცმელების ბილიკი იწყება და ჩითახევის მცველთა თავშესაფრის გავლით მთავრდება ლიკანის მცველთა საგუშაგოსთან.
10. **თოვლის ფეხსაცმლის** ბილიკი /6 კმ, 4 სთ, საფეხმავლო, საშუალო სირთულის/. #10 თოვლის ფეხსაცმელების ერთდღიანი ბილიკი იწყება აწყურის რეინჯერთა საგუშაგოსთან და 6კმ. მანძილზე გრძელდება, უკან დაბრუნება ხდება იგივე გზით, სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია გზის შემოკლება.
11. **ლიკნის ხეობის** ბილიკი /7 კმ, 4 სთ, საფეხმავლო და საცხენოსნო, საშუალო სირთულის/
12. **ნეძვის** ბილიკი - ახალი, 32 კმ-იანი წრიული ეკოტურისტული ბილიკია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სოფელ ახალდაბას, მთა დიდ ქართას, მთა შუანოს და სოფელ ნეძვს.

ნახაზი 2.2. ტურისტული ბილიკების სქემა



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში იღებს ვიზიტორებს. აქტიური ტურისტული სეზონი იწყება აპრილში და გრძელდება ოქტომბრის ჩათვლით.

3 დაინტერესებული მხარეები და მათთან კომუნიკაცია

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში იდენტიფიცირებულია შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია;
- ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი;
- გარემოს ზედამხედველობის სამსახური;
- ვიზიტორები;
- ტურისტული კომპანიები;
- სახიფათო ნარჩენების მართვაზე ნებართვის მქონე კომპანიები;
- ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიები;
- დაცული ტერიტორიის საზღვრებთან მიმდებარე დასახლებების მოსახლეობა;
- ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები ;
- არასამთავრობო სექტორი.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების პროცესში მომზადდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა დოკუმენტის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე. დოკუმენტის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესი ნაჩვენებია ცხრილში 3.1.

დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე სამუშაო შეხვედრები გაიმართა ადმინისტრაციასთან და განხორციელდა საველე გასვლები. მოგროვდა ინფორმაცია ნარჩენების ნართვის არსებული პრაქტიკის, ნარჩენებით დაბინძურების მხრივ მაღალი რისკის მქონე ლოკაციების შესახებ. ადმინისტრაციისგან მიღებული იქნა ინფორმაცია არსებული გამოწვევების შესახებ. საწყის ეტაპზე ადმინისტრაციასთან შეხვედრების ამსახველი სურათები მოცემულია ქვემოთ.

სურათები 3.1. დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე შეხვედრები დაცული ტერიტორიების თანამშრომლებთან





2024 წლის 13 ივნისს სამუშაო შეხვედრა გაიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს და დოკუმენტის შემმუშავებელი კომპანიის წარმომადგენლები. შეხვედრის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან დოკუმენტის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით გამოითქვა გარკვეული შენიშვნები. შენიშვნების შინაარსი და მათი პასუხები ასახულია დანართში 1 წარმოდგენილ შენიშვნებზე რეაგირების ერთიან ცხრილში.

ცხრილი 3.1. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

N	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	დაინტერესებული მხარე	ინტერესის და გავლენის სფერო	ჩართულობის მიზანი/სტრატეგია	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დრო და სიხშირე	პასუხისმგებელი პირი პროექტის განმახორციელებელი ორგანოდან
1	**ნატო სულთანიშვილი**	595999908 sultanishvilinato@gmail.com	სსიფ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი	პირდაპირი ინტერესი ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტის პრინციპების დანერგვა	დოკუმენტის დაცული ტერიტორიების საკონსერვაციო პრინციპებთან შესაბამისობის კონტროლი	დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
2	**ლევანი საბანიძე**	577 179393 levansabanidze9@gmail.com	ბორჯომჯ-ხარაგაულის ადმინისტრაციის დირექტორი	პირდაპირი ინტერესი ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტის პრინციპების დანერგვა; ნარჩენების მართვის კონტროლი და გაუმჯობესება; საკუთარი	დოკუმენტის დაცული ტერიტორიების საკონსერვაციო პრინციპებთან შესაბამისობის კონტროლი	დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

				რესურსების ეფექტიანი გამოყენება			
3	**გიორგი გელაშვილი**	599 193 020 borjomisdasuptaveba2015@gmail.com	ბორჯომის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ეფექტიანი მართვა	დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა	საჯარო განხილვა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
4	**ოთარი ბანცაძე**	577 959 751 dasuftavebax@mail.ru	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ეფექტიანი მართვა	დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა	სამუშაო შეხვედრები; საჯარო განხილვა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
5	**გრიგოლ ღავთაძე**	591 709 822 akhaltsikhe.servis.group@gmail.com	ახალციხის მუნიიციპალლიტეტის კომუნალური სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ეფექტიანი მართვა	დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა	სამუშაო შეხვედრები; საჯარო განხილვა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
6	**ჯემალ ქიმაძე**	599 545 379 adigenisdasuftaveba@gmail.com	ადიგენის მუნიიციპალლიტეტის კომუნალური სამსახური	ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ეფექტიანი მართვა	დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა	სამუშაო შეხვედრები; საჯარო განხილვა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

7	**ზურაბ ნოზაძე**	599112749 khashurservice2013@gmail.com	ხაშურის მუნიციპალლიტეტის კომუნალური სამსახური	ხაშურის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ეფექტიანი მართვა	დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა	სამუშაო შეხვედრები; საჯარო განხილვა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
8	**ელგუჯა გედევანიშვილი**	595 405 555 gujagedevanilshvili@gmail.com	გარემოს ზედამხედველობის სამსახური (ადგილობრივი)	ნარჩენების ეფექტიანი მართვა	დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა	სამუშაო შეხვედრები; საჯარო განხილვა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

4 ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი და ამოცანები

ნარჩენების მართვის გეგმის მთავარი მიზანია ნარჩენების მდგრადი მართვის ინტეგრირებული და ეფექტიანი სისტემის დანერგვა, ბორჯომ-ხარაგაულის ადმინიტრაციის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე არსებული ბიომრავალფეროვნების, ნიადაგისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას, მათ უსაფრთხოდ შეგროვებასა და საბოლოო განთავსებას;
- დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებთან, ასევე, ადგილობრივ დონეზე მოქმედ სახელმძღვანელო დოკუმენტებთან (მათ შორის, მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმებთან და სხვა);
- ეფექტიანი კომუნიკაციის გზით ვიზიტორების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციასა და დაცულ ტერიტორიაზე დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების/აქტივობების შესაბამისობას აღნიშნულ გეგმასთან უზრუნველყოფს ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია . გეგმის მოქმედების ოპტიმალურ პერიოდად მიჩნეულია 5 წელი. ამ პერიოდის გასვლის შემდგომ ქვეყანაში ახალი მოთხოვნებისა და რეგულაციების შემოტანასთან ერთად შესაძლებელია საჭირო გახდეს გეგმის განახლება.

5 ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ბაზა

ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტები მოცემულია ცხრილში 5.1. დოკუმენტის შემუშავების პროცესში ასევე გათვალისწინებულია ევროკავშირის ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივა 2008/98/EC (19.11.2008 წ).

ცხრილი 5.1. ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები

მიღების/დამტკიცების წელი	კანონის/ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1996	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“	360.050.000.05.001.000.127
2007	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“	360.050.000.05.001.003.060
1996	საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“	360.000.000.05.001.000.184
2014	საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“	360160000.05.001.017608
2015	საქართველოს მთავრობის №426 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“	300230000.10.003.018812
2016	საქართველოს მთავრობის №144 დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“	360160000.10.003.019209
2016	საქართველოს მთავრობის №159 დადგენილება - ტექნიკური რეგლამენტი „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და	300160070.10.003.019224

	დამუშავების წესის შესახებ“	
2016	საქართველოს მთავრობის №160 დადგენილება. ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ	360160000.10.003.019225
2022	საქართველოს მთავრობის დადგენილება №71- ტექნიკური რეგლამენტი – ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების, ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილისა და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე	360050000.10.003.023279

6 არსებული სიტუაციის ანალიზი

წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია ინფორმაცია დღეისათვის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნის ძირითადი წყაროების, წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის და მიახლოებითი რაოდენობების, ასევე, მათი მართვის არსებული პრაქტიკის შესახებ. საველე გასვლების და ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე შეფასებულია ძირითადი პრობლემები და გამოწვევები.

აღსანიშნავია, რომ განხილულია როგორც უშუალოდ დაცული ტერიტორიის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენები, ასევე ნარჩენები, რომლებიც დაცული ტერიტორიების საზღვრების მომიჯნავედ, გარეშე წყაროების მიერ წარმოიქმნება, თუმცა ქმნის დაცული ტერიტორიების დაბინძურების საკმაოდ მაღალ რისკებს.

6.1 ნარჩენების წარმოქმნის წყაროები და შემადგენლობა

დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნის ძირითადი წყაროებია:

- **ვიზიტორები;**
- **ადმინისტრაცია;**
- **მოსახლეობა** (მათ შორის მწყემსები);
- **მგზავრები** (ახალციხე-ბორჯომის საავტომობილო გზაზე ტრანსპორტიდან გადმოგდებული ნარჩენები, რომლებიც გროვდება გზის პირას, უშუალოდ დაცული ტერიტორიის საზღვრებთან);
- **კონტრაქტორი კომპანიები,** რომლებიც შეირჩევიან ტენდერის გზით და საჭიროების მიხედვით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ სხვადასხვა სარემონტო ან სამშენებლო სამუშაოებს.

ნარჩენების წარმოქმნის ძირითადი ლოკაციებია:

- **ადმინისტრაციული შენობები** (ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. N23; ქ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N 19);
- **ეკოტურისტული ლოკაციები** (მათ შორის საპიკნიკე ადგილები);
- **მომიჯნავე დასახლებული პუნქტები;**
- **საძოვრად გამოყენებული ტერიტორიები;**

წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი შედგენილობა ასეთია:

- **საყოფაცხოვრებო ნარჩენები,** რომლებიც თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის №144 დადგენილების შესაბამისად, შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც შერეული მუნიციპალური ნარჩენები და განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (პლასტიკი, ქაღალდი, მუყაო, მინა და სხვა);
- **კომპოსტირებადი (ბიოდეგრადირებადი) ნარჩენები;**
- **ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები,** რაც მხოლოდ პერიოდულად, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობის ფარგლებში ან ეკოტურისტულ ლოკაციებზე განხორციელებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს უკავშირდება;

- **სახიფათო ნარჩენები** (ძალზედ მცირე მოცულობის, ძირითადად აკუმულატორები და შერეული ბატარეები).

ცხრილში 6.1.1. წარმოდგენილია ინფორმაცია ნარჩენების შემადგენლობის შესახებ, მათი წარმოქმნის წყაროების მიხედვით.

ცხრილში 6.1.1. ინფორმაცია ნარჩენების შემადგენლობის შესახებ, მათი წარმოქმნის წყაროების და ლოკაციების მიხედვით

ნარჩენების წარმოქმნის წყარო	ნარჩენების წარმოქმნის ძირითადი ლოკაციები	ნარჩენების შემადგენლობა	
		კატეგორია[1]	კოდი და დასახელება[2]
ვიზიტორები	• ადმინისტრაციის მართვის ქვეშ არსებული ეკოტურისტული ლოკაციები, მათ შორის: ○ ბორჯომის ეროვნული პარკი ○ ბორჯომის ნაკრძალი ○ ნეძვის აღკვეთილი ○ აბასთუმნის უბნის ტურისტული ბილიკები ○ ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი ○ ქვიშხეთის უბანი (მონასტრისკენ მიმავალი გზა) ○ მწვანე მონასტრის მიმდებარე ტერიტორია	საყოფაცხოვრებო ნარჩენები	20 01 01 - ქაღალდი და მუყაო
			20 01 03 - მცირე ზომის პლასტმასის ნარჩენი
			20 01 05 - მცირე ზომის ლითონის ნაწარმი
			20 01 08 - სამზარეულოს ორგანული ნარჩენები
			20 03 01 - შერეული მუნიციპალური ნარჩენები
ადმინისტრაციული პერსონალი	ადმინისტრაციული შენობები	საყოფაცხოვრებო ნარჩენები	20 01 01 - ქაღალდი და მუყაო
			20 01 02 - მინა
			20 01 03 - მცირე ზომის პლასტმასის ნარჩენი
			20 01 05 - მცირე ზომის ლითონის ნაწარმი
			20 01 32 - მედიკამენტები
			20 03 01 - შერეული მუნიციპალური ნარჩენები
		ბიოდეგრადირება დი ნარჩენები	20 01 08 - სამზარეულოს ორგანული ნარჩენები
		სახიფათო ნარჩენები	20 01 27* - საღებავები, მელნები, წებოვანი და რეზინის, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს
			20 01 33* - შერეული ბატარეები და აკუმულატორები
			20 01 35* - წუნდებული ხელსაწყოები.
მოსახლეობა	○ მომიჯნავე დასახლებული პუნქტები; ○ ახალციხე-ხარაგაულის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მგზავრები.	საყოფაცხოვრებო ნარჩენები	20 03 01 - შერეული მუნიციპალური ნარჩენები
			02 01 04- ნარჩენი პლასტმასები

[1] კატეგორიები წარმოდგენილია „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №160 დადგენილების შესაბამისად;

[2] „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების შესაბამისად

მწყემსები	საძოვრად გამოყენებული ადგილები	საყოფაცხოვრებო ნარჩენები	20 03 01 - შერეული მუნიციპალური ნარჩენები
		ცხოველური წარმოშობის ნარჩენები	02 01 06 -ცხოველთა ექსკრემენტები, შარდი და ნაკელი (მათ შორის, გაფუჭებული ჩალა), თხევადი ნარჩენები, ცალ-ცალკე შეგროვებული და გადამუშავებული - ნაკელის და ნამჯის ნარევი, ასევე ლაგუნებში დაგროვილი მყარი მასა
			02 02 02 - ცხოველური ქსოვილების ნარჩენები
კონტრაქტორი კომპანიები	დამოკიდებულია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ასევე ახალი ეკოტორისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ნარჩენები შეიძლება წარმოიქმნას ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის ფარგლებში, ტურისტული თავშესაფარების და საპიკნიკე ადგილების ტერიტორიაზე. ასევე ეკოტურისტული ბილიკების დერეფანში, მათი განახლება-რეაბილიტაციის პროცესში.	ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები	17 09 03* - სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები (მათ შორის შერეული ნარჩენები), რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს;
			17 09 04 - შერეული სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები

6.2 ნარჩენების წარმოქმნა სეზონურ ჭრილში

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სეზონურობაზე. ვიზიტორების მხრიდან ნარჩენები დიდწილად ტურისტულად აქტიურ სეზონზე აპრილიდან- ოქტომბრის ჩათვლით წარმოიქმნება.

დაცული ტერიტორიების მომიჯნავე ძირითად დასახლებულ პუნქტებში ნარჩენების წარმოქმნის ინტენსივობა იმატებს გაზაფხულიდან შემოდგომამდე. ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა ჩართულია ტურისტული სერვისების მიწოდებაში, რაც გამოიხატება საოჯახო სასტუმროების, ადგილობრივი პროდუქტის ტრადიციული ხელნაკეთობის მიწოდებაში. ასევე, დაცული ტერიტორიების საზაფხულო საძოვრად გამოყენება, ძირითადად, ზაფხულის პერიოდში ხდება. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის და მწყემსების მიერ ნარჩენების წარმოქმნა სწორედ ამ სეზონზეა განსაკუთრებით აღსანიშნავი.

ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები შესაძლებელია წარმოიქმნას წლის ნებისმიერ სეზონზე. თუმცა, ამ სახის ნარჩენების გენერირების ალბათობა ზამთრის სეზონზე მნიშვნელოვნად იკლებს.

ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან ნარჩენების წარმოქმნის ინტენსივობაზე სეზონური გავლენა მინიმალურია.

6.3 ნარჩენების მართვის მოქმედი პრაქტიკა

6.3.1 კომპეტენციები ნარჩენების მართვის პროცესში

ადგილობრივი ხელისუფლება: საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს შესაბამისად მუნიციპალური ნარჩენების მართვის ვალდებულება ადგილობრივ ხელისუფლებას (მუნიციპალიტეტებს) ეკისრება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების დასუფთავების სამსახურის მიერ განსახილველი დაცული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებულ პუნქტების უმეტესობაში ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და მათი ტრანსპორტირება ნარჩენების მუნიციპალურ პოლიგონზე.

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიორიების ადმინისტრაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნარჩენების შეგროვებას და გატანას ახორციელებს:

- ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე;
- ვიზიტორთა ცენტრის ტერიტორიაზე;
- ადმინისტრაციის მართვის ქვეშ არსებული ეკოტურისტული ლოკაციებზე, მათ შორის:
  - ბორჯომის ეროვნული პარკი
  - ბორჯომის ნაკრძალი
  - ნეძვის აღკვეთილი
  - აბასთუმნის უბნის ტურისტული ბილიკები
  - ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი
  - ქვიშხეთის უბანი (მონასტრისკენ მიმავალი გზა)
  - მწვანე მონასტრის მიმდებარე ტერიტორი;
- ადგილობრივი მოსახლეობის, ვიზიტორების და სტიქიური ნაგავსაყრელების გავლენით დაბინძურებული უბნები დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მიმდებარედ.

მოიჯარე კომპანიები: მოიჯარე კომპანიების ვალდებულებაა თავად უზრუნველყონ მათი მართვის ქვეშ არსებული ობიექტების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და გატანა.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ქცია-ტაბაწყურის და ნეძვის აღკვეთილების ტერიტორიაზე საკომუნიკაციო

ინფრასტრუქტურის (მობილური ოპერატორების ანძები) განთავსების ადგილები გაცემულია იჯარით. გარდა ამისა, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის (კოტეჯები) მოწყობის მიზნით იჯარით გაცემულია ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფარგლებში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი: 63.07.51.028) ნაწილი, ფართობით 0,56 ჰა. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „მოგზაურთა ჯგუფზე“, 20 წლის ვადით. გარდა ამისა, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით აბასთუმნის მიმდებარედ რამდენიმე ლოკაცია გაცემულია იჯარით.

კონტრაქტორი კომპანიები: საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ლოკაციებზე განხორციელებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვების და შემდგომი მართვის პასუხისმგებლობა, აღნიშნული სამუშაოების შემსრულებელ, ტენდერის გზით გამოვლენილ კომპანიებს ეკისრებათ. აღნიშნული საკითხი რეგულირდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში.


6.3.2 დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

არსებული მდგომარეობით ნარჩენების მართვისთვის საჭირო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა შემოიფარგლება შემდეგით:

სატრანსპორტო საშუალებები: დღეისათვის რეინჯერები ნარჩენებს აგროვებენ ხელით და გადააქვთ დაცული ტერიტორიების კუთვნილი ავტომანქანებით მუნიციპალიტეტების მიერ განთავსებულ უახლოეს ნარჩენების შესაგროვებელ კონტეინერებამდე. ადმინისტრაციის ავტოპარკი მოიცავს 19 ავტომანქანას (მათ შორის, 4 სპეც-სახანძრო) და 6 კვადროციკლს. ყველა ავტომობილი მუშა მდგომარეობაშია და გავლილი აქვს ტექნიკური დათვალიერება.

ურნები და კონტეინერები: დღეისათვის ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობა განთავსებულია: ადმინისტრაციულ შენობასთან (ქ. ბორჯომი) 2 ცალი (30 ლ) ლითონის ურნა (იხ. სურათები 6.3.2.1.). უშუალოდ შენობაში განთავსებულია მცირე ზომის ურნები. არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს ნარჩენების ერთიანად, პლასტმასის კონტეინერებში შეგროვებას და შემდგომ გატანას ეზოს გარეთ, მუნიციპალიტეტების მიერ განთავსებულ შესაგროვებელ კონტეინერებამდე.

სურათი 6.3.2.1. ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობა



ადმინისტრაციის მართვის ქვეშ არსებულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობა წარმოდგენილია შემდეგ ლოკაციებზე:

- ბაირაღის თავშესაფარი - 1 ც. (120 ლ);
- ლიკანის ხეობის საპიკნიკე - 1 ც. (120 ლ);
- ქვაბისხევის საგუშაგო - 1 ცალი (120 ლ);
- ქვაბისხევის ტურ. თავშესაფარი -1 ც.(120 ლ);
- აწყურის საგუშაგო - 1 ც. (120 ლ);
- ნეძვის აღკვეთილის საგუშაგო - 1 ც. (120 ლ);
- აბასთუმნის საგუშაგო - 2 ც. (120 ლ);
- ნუნისის საგუშაგო - 1 ც. (120 ლ);
- მარელისის საგუშაო - 1 ც. (120 ლ).

დანარჩენ რეინჯერთა სადგურების ტერიტორიაზე, ნარჩენების შესაგროვებელლი კონტეინერები არ არის წარმოდგენილი. არსებული პრაქტიკის

თანახმად ნარჩენები გროვდება ცელოფნის პარკებში და რეინჯერების მიერ გაიტანება უახლოეს მუნიციპალურ კონტეინერამდე.

ადმინისტრაციის ინფორმ;აციით, მათ ესაჭიროება 40-42 ცალი კონტეინერის დამატება, რათა ყველა ტურისტულ თავშესაფარს, რეინჯერთა საგუშაგოს და რეინჯერთა თავშესაფარს გააჩნდეს თავისი ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობა.

უმეტეს შემთხვევაში ნარჩენების შესაგროვებელ აღჭურვილობას არ გააჩნია შესაბამისი წარწერები. ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე და, მით უმეტეს, სხვა ლოკაციებზე არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ეფექტიანი მეთოდები.



ნარჩენების შენახვის/დასაწყობების უბანი: დღეისათვის, დაცული ტერიტორიების ფარგლებში ცალკე გამოყოფილი უბანი, სადაც შესაძლებელი იქნება ნარჩენების (მათ შორის სახიფათო ნარჩენების) დროებითი შენახვა, განთავსებული არ არის.

საინფორმაციო ნიშნები: დღეისათვის, დაცულ ტერიტორიებზე, ასევე როგორც ადმინისტრაციული შენობის ფარგლებში, ნარჩენების მართვის კუთხით, საინფორმაციო ნიშნები ან სტენდი წარმოდგენილი არ არის. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ დაცულ ტერიტორიაზე მოქცევის წესების ამსახველ საინფორმაციო სტენდებზე (როგორც ვიზიტორთა ცენტრის ფარგლებში, ასევე ეკოტურისტულ ბილიკებზე), ერთ-ერთი პუნქტი ეთმობა ნარჩენებს - „ნუ დატოვებთ, დაწვავთ ან დამარხავთ ნაგავს“.

6.3.3 ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში არის ცალკე გამოყოფილი საშტატო ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვაზე. ნარჩენების მართვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა ხდება დირექტორის მიერ. ნარჩენების შეგროვების და მართვის პროცესში აქტიურად არიან ჩართული რეინჯერები.

6.3.4 კონტრაქტორები ნარჩენების მართვის სფეროში

დღეისათვის ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას არ ჰყავს კონტრაქტორი კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოტურისტული ლოკაციებიდან ნარჩენების გამოტანას, შეგროვებას, ტრანსპორტირებას ან განთავსებას. ასევე, არ არსებობს ხელშეკრულების გაფორმების პრაქტიკა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიებთან. ადმინისტრაცია ნარჩენების მართვის სფეროში თანამშრომლობს მხოლოდ მუნიციპალიტეტების დასუფთავების სამსახურებთან.

6.3.5 ნარჩენების შეგროვების და მართვის მოქმედი პრაქტიკა

ვიზიტორების ნარჩენები: დღეისათვის ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტულ ლოკაციებზე, ვიზიტორების მხრიდან წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და შემდგომი მართვა ხორციელდება ორი ძირითადი პრინციპით:

- რეინჯერების მიერ ნარჩენების შეგროვება და განთავსება მუნიციპალურ კონტეინერებში. ასეთი სქემა, ძირითადად, საპიკნიკე ტერიტორიებზე არის დანერგილი. პერიოდული დასუფთავების აქციების ფარგლებში (რაც ადმინისტრაციის ინფორმაციით წელიწადში

საშუალოდ ორჯერ ტარდება), ნარჩენების მართვის აღნიშნულ სქემაში მოხალისეებიც არიან ჩართულნი (ძირითადად, მოსწავლეები და სტუდენტები);

- ადმინისტრაციის ინფორმაციით შედარებით მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან ის ვიზიტორები, რომლებიც დაცულ ტერიტორიებს ლაშქრობის მიზნით სტუმრობენ. ასეთ შემთხვევაში უმეტესად მოქმედებს პრინციპი - „გამოგაქვს ის, რაც შეგაქვს“ და თავად ვიზიტორების მხრიდან ხდება ნარჩენების უახლოეს მუნიციპალურ კონტეინერებში განთავსება.

ეკოტურისტულ ლოკაციებზე ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკა არ არსებობს.

ადმინისტრაცია: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია განლაგებულია ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. N23. ასევე ადმინისტრაციული შენობა მდებარეობკს ქ. ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. N 19-ში. ადმინისტრაციის პერსონალის მიერ წარმოქმნილი შერეული მუნიციპალური ნარჩენები დაგროვების შესაბამისად გაიტანება ეზოს გარეთ არსებულ მუნიციპალურ კონტეინერებში აღნიშნულ პროცესში მინის, ლითონის ან პლასტმასის მცირე ზომის ნარჩენების განცალკევების პრაქტიკა არ არსებობს.

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები დაყოფილია 10 უბნად: ქვიშხეთის, ზანავის, ბორჯომისა და ნაკრძალის, აწყურის, აბასთუმნის, ნუნისის, მარელისის, საქონდრია - ლაშურის, ნეძვის აღკვეთილის და ქცია - ტაბაწყურის უბანი. სულ 10 უბანი დაყოფილია 51 სარეინჯეროდ, აქედან: 3 სარეინჯერო ქვიშხეთის უბანზე, 5 სარეინჯერო ზანავის უბანზე, 10 სარეინჯერო ნაკრძალისა და ბორჯომის უბანზე, 5 სარეინჯერო აწყურის უბანზე, 5 სარეინჯერო აბასთუმნის უბანზე, 4 სარეინჯერო ნუნისის უბანზე, 5 სარეინჯერო მარელისის უბანზე, 6 სარეინჯერო საქონდრია - ლაშურის უბანზე, 5 სარეინჯერო ნეძვის აღკვეთილის უბანზე და 3 სარეინჯერო ქცია - ტაბაწყურის უბანზე. 51 სარეინჯერო უბნიდან, სარეინჯერო სადგური/საგუშაგო 13 უბანზეა განთავსებული, სადაც ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერი არის მხოლოდ 6 ლოკაციაზე:

- ქვაბისხევის საგუშაგო
- აწყურის საგუშაგო
- ნეძვის აღკვეთილის საგუშაგო
- აბასთუმნის საგუშაგო
- ნუნისის საგუშაგო
- მარელისის საგუშაო

დანარჩენი საგუშაგოების ფარგლებში (7 საგუშაგო) ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს ნარჩენების შეგროვებას პოლიეთილენის პარკებში და შემდგომ გატანას უახლოვეს მუნიციპალირ კონტეინერამდე.

მოსახლეობა: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი შერეული მუნიციპალური ნარჩენების მართვის მეთოდია - შეგროვება მუნიციპალურ კონტეინერებში. ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერებიდან ნარჩენების გატანა ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურების მიერ, სპეც. ავტომობილების საშუალებით, შემდგომ ნარჩენების განთავსება ხდება მუნციპალურ ნაგავსაყრელზე. რეგიონის რელიეფური და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობას ვერ მიეწოდება ნარჩენების გატანის სათანადო სერვისი. ხშირია სტიქიური ნაგავსაყრელების მოწყობის ფაქტები.

6.4 არსებული პრობლემები და გამოწვევები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე მთავარ გამოწვევას წარმოადგენს გარეშე ფაქტორების მიერ (მოსახლეობა, მწყემსები) ნარჩენების უსისტემო გავრცელება და დაცული

ტერიტორიების დაბინძურების საკმაოდ მაღალი რისკები. არსებული გამოწვევებიდან აღსანიშნავია:

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრები ძალიან ბევრ მონაკვეთებზე, მდებარეობს უშუალოდ ცენტრალურ საავტომობილო გზასთან, სადაც ვიზიტორები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და გამვლელი მგზავრები ტოვებენ ნარჩენებს. ადმინისტრაციის მიერ პერიოდულად განხორციელებული დასუფთავების აქციების ფარგლებში ხდება მსგავსი დაბინძურებული ტერიტორიების გასუფთავება - უსისტემოდ გავრცელებული ნარჩენების ნაწილობრივი შეგროვება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელ კონტეინერებში განთავსება. აღნიშნული პროცესის მუდმივი კონტროლი და დაბინძურების ფაქტების აღკვეთა რთულია. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია - საჯარიმო სანქციების გამოყენება. მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით ასეთ მონაკვეთებზე შესაძლებელია მოეწყოს სამეთვალყურეო კამერები, რათა შესაძლებელი იყოს დამრღვევის ვინაობის დადგენა და საჯარიმო სანქციების გამოყენება.
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ესაზღვრება ბორჯომის, ხაშურის, ახალციხის, ადიგენის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტების მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები, შესაბამისად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და ანთროპეგენური ზეწოლა ინტენსიურია დაცული ტერიტორიების ამ მონაკვეთებზე. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ქვედა ზონაში ხორციელდება ხე-ტყის მასობრივი ჭრა. ასეთ ადგილებში, ხის ნახერხის გარდა, წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც.
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სუბალპურ მდელოებს საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ საქონლისათვის საზაფხულო საძოვრებად. დღევანდელი მდგომარეობით, ხშირია მწყემსების მიერ დაცული ტერიტორიის დაბინძურებიკს ფაქტები. მწყემსების მიერ გენერირებული ნარჩენები მოიცავს როგორც საყოფაცხოვრებო (პლასტიკი/პოლიეთილენი, საკვების ნარჩენები), ასევე ცხოველური წარმოშობის კომპონეტს - მატყლის სახით (500 კგ-მდე სეზონზე).
- ტყეკაფები, სადაც წელიწადში 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობს, საქართველოს ტყის ფონდის მიერ განსაზღვრული, ხეების ჭრა - წარმოადგენენ დაბინძურების ერთ-ერთ წყაროს. ჭრის ადგილზე, მცირე რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარდა, რჩება ხეტყის ნარჩენი, რაც წარმოადგენს ხეტყის დამზადების შედეგად წარმოშობილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები, რომელსაც აღარ გააჩნია მერქნული რესურსის ღირებულება, აღნიშნული ნარჩენი დიდი რაოდენობთ წარმოიქმნება და ზაფხულის პერიოდში ხანძრის წარმოქმნის საშიშროებასაც ქმნის.

ზემოდ ჩამოთვლილის მთავარი მიზეზია - საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე და საჯარიმო სანქციების არაეფექტიანი მექანიზმები.

ნარჩენებით დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ლოკაციები დეტალურად აღწერილია მომდევნო პარაგრაფში.

რაც შეეხება ნარჩენების მართვის პროცესში უშუალოდ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ძირითად გამოწვევებს, აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- საჭირო ფინანსური სახსრების სიმცირე;
- კადრების არასაკმარისი რაოდენობა;
- ნარჩენების შესაგროვებელი ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის (მათ შორის ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები და სხვა) ნაკლებობა;
- ნარჩენების შეგროვებაში ჩართული პერსონალის (რეინჯერები) შესაბამისი აღჭურვილობის არარსებობა;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არარასებობა;
- სეპარირებული ნარჩენების შემდგომი რეციკლირებისთვის რეგიონში სათანადო ინფრასტრუქტურის და საწარმოო ობიექტების ნაკლებობა;

- საგანმანათლებლო-დასუფთავებითი ღონისძიებების არასაკმარისი რაოდენობა;
- კომპოსტირების პრაქტიკის არარსებობა ან კომპოსტირების არაეფექტიანი მეთოდების გამოყენება;
- ხარვეზები ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის პროცესში.

6.4.1 ნარჩენებით დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ლოკაციები

დაბინძურების მთავარ წყაროებს წარმოადგენენ როგორც დაცული ტერიტორიის ვიზიტორები, ასევე მიმდებარე სოფლების მოსახლეობა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრები ძალიან ბევრ მონაკვეთებზე, მდებარეობს უშუალოდ ცენტრალურ საავტომობილო გზასთან (ახალციხე-ხაშურის დამაკავშირებელი ს/გ), სადაც ვიზიტორები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და გამვლელი მგზავრები ტოვებენ ნარჩენებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოფ. ჩითახევის ლოკაცია (X 358443; Y 4627542) იხ. სურათი 6.4.1.1.

საველე გასვლების დროს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ იდენტიფიცირებული ნარჩენებით დაბინძურებული ლოკაციები ნაჩვენებია სურათებზე 6.4.1.1.

სურათები 6.4.1.1. ნარჩენებით დაბინძურებული ლოკაციები, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს უქმნის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ მდგომარეობას











დაცული ტერიტორიების ნარჩენებით დაბინძურების კიდევ ერთი წყაროა მწყემსები, რომლებიც ზაფხულში საძოვრების გამოყენების მიზნით შემოდიან. ეროვნული პარკის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის სუბალპური მდელოები მიმდებარედ მცხოვრები ადამიანებისთვის (მარელისი, ნუნისი, ტაბაწყური და სხვა) საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა საქონლის საძოვრად. ესეთი ტერიტორიები ძირითადად მოქცეულია ტრადიციული გამოყენების ზონაში.

ზოგიერთი ტურისტული ბილიკი (მაგ. ლომისმთა-სამეცხვარეო-ამარათი) ემთხვევა მწყემსების გადაადგილების მარშრუტებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში და მის მიმდებარედ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტებია წარმოდგენილი. ბორჯომის ხეობაში წარმოდგენილია პირველი საუკუნის ციხესიმაგრეები, მწვანე მონასტერი, წმინდა ღვთისმშობელის ეკლესია, რომელიც მდებარეობს ჩითახევის ხეობაში, წმინდა ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ ლიკანის მიდამოებში, შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია სოფელ ბანისხევის მახლობლად, წმინდა ნინოს ეკლესია, სალის, ნუას, გოგიას შუასაუკუნეების ციხესიმაგრეები ბორჯომის მახლობლად და ლეკორის შუასაუკუნეების ციხესიმაგრე სოფელ გურკელის ახლოს. სახალხო დღესასწაულების დროს ამ მიმართულებებზე იმატებს როგორც ვიზიტორთა, ასევე ნარჩენების რაოდენობაც, რაც გასათვალისწინებელია ნარჩენების მართვის დაგეგმვის დროს.

რას შეეხება ტყეკაფებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვას, ამ შემთხვევაში უდა ვისარგებლოთ - საქართველოს მთავრობის 2021 წ. დადგენილება №221 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულება <u>მუხლი 28. ჭრის შედეგად მიღებული ხეტყის ნარჩენის განთავსება და განკარგვა.</u>

1. ჭრის შედეგად მიღებული ხეტყის ნარჩენი ტყითმოსარგებლემ უნდა განათავსოს სათანადო წესით. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენის განთავსება წარმოებს:

ა) ხეტყის ნარჩენის დაწყობით მორსათრევ ბილიკებზე, ჭრის შემდეგ ეროზიისგან დაცვის მიზნით;

ბ) შეშად გამოუსადეგარი ტოტების ხურგებად (სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1 მეტრს) დაწყობით;

გ) ხეტყის ნარჩენის ფართობებზე თანაბრად გაბნევით.

2. ენტომომავნებლების და ფიტოდაავადებების გავრცელების აღკვეთის მიზნით დასაშვებია ხეტყის ნარჩენის დაწვა ხანძრის გავრცელების უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

3. ხეტყის ნარჩენის განთავსების ფორმის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ხეტყის ნარჩენის განთავსებამ (გაბნევამ, ან მორსათრევ ბილიკზე მისმა დაწყობამ) ხანძრის გაჩენის შემთხვევაში არ გამოიწვიოს დაბლითი ხანძრით ცეცხლის სტიქიური გავრცელების პროვოცირება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხეტყის ნარჩენის განთავსება ტყის მართვის ორგანოს მითითებით ხორციელდება ჭრის ადგილზე ან მის გარეთ, ხეტყის გამოზიდვის პარალელურად, მაგრამ არაუგვიანეს ხეტყის გამოზიდვის დამთავრებისა. ხეტყის ნარჩენის განთავსება უნდა განხორციელდეს ტყეკაფის არასწორად გამოყოფის, ასევე ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის ან/და კონკრეტული ტყეკაფის მოქმედების ვადის გასვლის გამო ტყეკაფის გაუქმების შემთხვევაშიც.

5. ჭრის შედეგად მიღებული ხეტყის ნარჩენის განთავსება ხორციელდება ჭრის ადგილზე ან მის გარეთ, ტექნიკური (ფაქტობრივი) შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირობით, რომ იგი ხელს არ შეუშლის ტყეკაფის შემდგომი ათვისების პროცესს. ასეთ შემთხვევაში, ხეტყის ნარჩენის განთავსების ვალდებულების შესრულების ვადა არ შეიძლება გასცდეს ტყეკაფის დახურვის ან გაუქმების, ასევე შესაბამისი ჭრის უფლების დამდგენი დოკუმენტით დადგენილი ვადას.

6. ტყის მართვის ორგანო უფლებამოსილია, პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხეტყის ნარჩენი უფასოდ გასცეს მოსახლეობაზე.

7. ხეტყის ნარჩენის განთავსების ადგილიდან ხეტყის ნარჩენის დაინტერესებული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემა დასაშვებია პირდაპირი მიყიდვის წესით. ხეტყის ნარჩენის ათვისება

ხორციელდება ტყეკაფის გამოყოფის გარეშე. ასათვისებელი ხეტყის ნარჩენის მოცულობა დგინდება წინასწარ, საორიენტაციოდ, ხოლო ფაქტობრივად ათვისებული ხეტყის ნარჩენის მოცულობა დაანგარიშდება ამ წესის დანართი №9 დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით. ტრანსპორტირების დაწყებამდე დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, ნარჩენი ადგილზე დააქუცმაცოს სათანადო ტექნოლოგიის გამოყენებით ან ნარჩენი გაიტანოს დაუქუცმაცებელი სახითაც. ხეტყის ნარჩენის ტრანსპორტირება ხორციელდება ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის საფუძველზე.

8. ტყის მართვის ორგანო უფლებამოსილია, თვითონ უზრუნველყოს ხეტყის ნარჩენის ტყიდან გამოტანა დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი სახით და დასაწყობება მის მიერ გამოყოფილ ადგილას, შემდგომში პირდაპირი მიყიდვის წესით გაცემის მიზნით.


დაბინძურების რისკები დაცული ტერიტორიის ვიზიტორების მხრიდან:

- ბორჯომის და ნაკრძალის N10 ბილიკი X 359994 Y 4632192
- ქვაბისხევი (X 353507 Y 4627702)- ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს „საქეიფოდ“;
- ლომის მთაზე ტურისტული თავშესაფარი (კოორდინატები X 354757 Y 4635706);
- ნეძვის აღკვეთილი X 383205 Y 4636040
- აბასთუმნის უბნის ტურისტული ბილიკები X 320375 Y4627041
- ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის საპიკნიკე ტერიტორია X 387256 Y 4612953
- ქვიშხეთის უბანი (მონასტრისკენ მიმავალი გზა) X 375062 Y4646977
- მწვანე მონასტრისკენ მიმავალი გზის ტერიტორია X 360220 Y 4629359

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის პერსონალის (რეინჯერების) ძალისხმევით ხშირად ხდება ასეთი ადგილების დასუფთავება.დასუფთავების აქციების ფარგლებში ძირითად სამიზნე ლოკაციებს საპიკნიკე ადგილები, დაცული ტერიტორიების საზღვრებთან არსებული ხევები და დაცულ ტერიტორიებთან მომიჯნავე უბნები წარმოადგენს.

ნახაზზე 6.4.1. მოყვანილია ნარჩენებით დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ლოკაციების განლაგება.

ნახაზი 6.4.1. ნარჩენებით დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ლოკაციების განლაგება



7 საპროგნოზო მაჩვენებლები

7.1 მომსახურე პერსონალის ზრდის პროგნოზი


დღეისათვის ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში 90 საშტატო ერთეულია და 37 ადამიანი ხელშეკრულების საფუძველზეა დასაქმებული, ჯამში 127. 5 წლიან პერსპექტივაში, პროგნოზირებულია, რომ ადმინისტრაციის მართვის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით საშტატო პერსონალის რაოდენობა შეიძლება 10%-ით გაიზარდოს და შეადგინოს 99 ადამიანი.

7.2 ტურისტული ნაკადების ზრდის პროგნოზი

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2023 წელს ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობამ 41951 კაცი შეადგინა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ არსებული სტატისტიკა ვერ ასახავს რეალურ სურათს, ვინაიდან ტერიტორიაზე ძალიან ბევრი შესასვლელია და ყველგან არ ხდება ვიზიტორების აღრიცხვა. ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით, რეალურად დაცული ტერიტორიის ვიზიტორთა რაოდენობა 3-4 ჯერ აღემატება სტატისტიკურ მონაცემებს. ზრდის ტენდენცია აღებულია 10%-იანი წლიური მატებით. 10 წლიან პერიოდში ტურისტული ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 7.2.1.

ცხრილი 7.2.1. ტურისტული ნაკადების ზრდის პროგნოზი 5 წლიან პერიოდში, ვიზიტორი/წელ.

წლები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
ვიზიტორთა საპროგნოზო მაჩვენებლები	41951	46146	50761	55837	61421	67563	74319



7.3 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის და ატრაქციების განვითარების პერსპექტივები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში მიმდინარეობს ეროვნული პარკის სამარშრუტო ქსელის მასშტაბური განახლება (240 კმ), სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს როგორც ახალი მონაკვეთების დამატებას, ასევე არსებულის მოწესრიგებას და ახალი ინფრასტრუქტურის დამატებას - დასრულების ფაზაშია ზანავი-ნუნისის ახალი ტურისტული თავშესაფარის მშენებლობა. 2023 წელს შემუშავდა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმა, რომლის ფარგლებშიც შემოთავაზებულია განვითარების 11 სხვადასხვა ალტერნატივა. მსგავსი

ეკოტურისტული ლოკაციების განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სამუშაოები განხორციელდება ტენდერის გზით გამოვლენილი კომპანიების საშუალებით. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე მშენებლობა-ოპერირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ვალდებულება (მათ შორის ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება და, საჭიროების შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება) ინვესტორს ან მშენებელ კომპანიას დაეკისრება. იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდა ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება, დოკუმენტი წარდგენილი იქნება სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს სახელით.

7.4 ნარჩენების საპროგნოზო მაჩვენებლები

უახლოეს 5 წლიან პერიოდში დაცულ ტერიტორიებზე წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის და შესაბამისი იქნება წინამდებარე დოკუმენტის ცხრილში 6.1.1. წარმოდგენილ ჩამონათვალთან.

რაც შეეხება ნარჩენების რაოდენობრივი ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებლებს - დღეისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები დაცულ ტერიტორიებზე წარმოშობილი და შეგროვებული ნარჩენების ზუსტი რაოდენობის შესახებ (დაახლოებით 500-700 კგ). წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილი გათვლები ეფუძნება ადგილზე მოპოვებულ ინფორმაციას (მათ შორის, ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგებს), გარკვეულ ექსპერეტულ დაშვებებსა და სხვა მსგავს პროექტებში გამოყენებულ ინდექსებს.


ვიზიტორები: ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების საშუალო რაოდენობა შეადგენს 0,5 კგ/კაც/დღე-ში. ვიზიტორების 5 წლიანი ზრდის პროგნოზის (იხ. ცხრილი 6.1.1.) გათვალისწინებით ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი ჯამური რაოდენობები მოცემულია ცხრილში 7.4.1.

ცხრილი 7.4.1. ნარჩენების საპროგნოზო რაოდენობრივი მაჩვენებელი 10 წლიან პერიოდში, ტ/წელ


წლები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
ნარჩენები, კგწელ	20975,5	23073	25380,5	27918,5	30710,5	33781,5	37159,5
ნარჩენები, ტ/წელ	20,9755	23,073	25,3805	27,9185	30,7105	33,7815	37,1595

ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიახლოებითი შემადგენლობა ნაჩვენებია დიაგრამებზე 7.4.1. და 7.4.2.

დიაგრამა 7.4.1. ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის მიახლოებითი გადანაწილება



დიაგრამა 7.4.2. 5 წლიან პერიოდში ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების წლიური რაოდენობები შემადგენლობის მიხედვით, ტ/წელ



ადმინისტრაცია: კონსერვატიული მიდგომით ადმინისტრაციული შენობების ფარგლებში პერსონალის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების (საყოფაცხოვრებო და სახიფათო) საშუალო რაოდენობა შეადგენს 0,6 კგ/კაც/დღე-ში. შესაბამისად საშტატო პერსონალის არსებული რაოდენობის გათვალისწინებით დღეის მდგომარეობით წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაა დაახლოებით 54 კგ/დღ და 54 * 240 = 12960 კგ/წელ (12,9 ტ/წელ). ადმინისტრაციის თანამშრომლების 5 წლიანი ზრდის პროგნოზის გათვალისწინებით 2029 წლისთვის ნარჩენების მიახლოებით რაოდენობად პროგნოზირებულია: 59,4 კგ/დღ და 20 * 240 = 14 256 კგ/წელ (14,3 ტ/წელ).

ადმინისტრაციული შენობის ეზოს პერიოდული დასუფთავების შედეგად ასევე წარმოიქმნება ე.წ. „მწვანე ნარჩენები“ საშუალო წლიური რაოდენობით 500 კგ/წელ (0,5 ტ/წელ). 5 წლიან პერსპექტივაში აღნიშნული ნარჩენების რაოდენობრივი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

ადინისტრაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ჯამური რაოდენობა შეადგენს:

- არსებული მდგომარეობით: 12,9 + 0,5 = 13,4 ტ/წელ;
- 5 წლიან პერსპექტივაში: 14,3 + 0,5 = 14,8 ტ/წელ.

მოსახლეობა: განსახილველი დაცული ტერიტორიების სიახლოვეს არსებულ დასახლებულ პუნქტებში უახლოეს 5 წლიან პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის. დღეისათვის დაცული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებებში აღინიშნება მუდმივი მოსახლეობის კლება. შესაბამისად, 5 წლიან პერსპექტივაში მოსახლეობის მხრიდან წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობრივი ზრდა ან სახეობრივი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

მწყემსები: დაცული ტერიტორიების საზღვრებში შემოსული მწყემსების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. საორიენტაციო შეფასებით აღნიშნული წყაროებიდან დაცული ტერიტორიების საზღვრებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობრივი მაჩვენებელი 0,5 ტ/წელ-ს არ აღემატება. ნარჩენები, რომლებიც წარმოადგენს როგორც შერეულ მუნიციპალურ ნარჩენებს, ასევე ცხოველური წარმოშობის - მატყლის სახით (500 კგ-მდე), პრაქტიკულად მხოლოდ ზაფხულის სეზონზე წარმოიქმნება. 5 წლიან პერსპექტივაში აღნიშნული წყაროებიდან წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობრივი ზრდა ან სახეობრივი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

კონტრაქტორი კომპანიები: დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ან ახალი ეკოტურისტული ლოკაციების მოწყობის პროცესში წარმოიქმნება სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები (მათ შორის, სახიფათო ნარჩენებიც). როგორც აღინიშნა, ამ ტიპის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ინვესტორ ან კონტრაქტორ სამშენებლო კომპანიებს ეკისრება. დღეისათვის აღნიშნული წყაროების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. უხეში შეფასებით დაცული ტერიტორიების ფარგლებში ამ ტიპის ნარჩენები დაახლოებით 0,5-1,0 ტ/წელ-ს შეადგენს. პერსპექტივაში აღნიშნული ნარჩენების რაოდენობა 100-200%-თაც შეიძლება გაიზარდოს. ნარჩენების რაოდენობრივი მაჩვენებლები განსაზღვრული უნდა იყოს ინდივიდუალურ პროექტებში, პროექტის სპეციფიკისა და მასშტაბების მიხედვით და ასახული უნდა იყოს ინდივიდუალურ ნარჩენების მართვის გეგმებში.

8 ნარჩენების მართვის ალტერნატივების ანალიზი

„ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მიხედვით ნარჩენების მართვა გულისხმობს: ნარჩენების შეგროვებას, დროებით შენახვას, წინასწარ დამუშავებას, ტრანსპორტირებას, აღდგენას და განთავსებას, ასევე ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობას და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომ მოვლას.

წინამდებარე პარაგრაფში შეფასებულია ნარჩენების მართვის ძირითად ეტაპების გონივრული ალტერნატივები. განსახილველი დაცული ტერიტორიების სპეციფიკიდან და სიტუაციური ანალიზიდან გამომდინარე შერჩეულია ოპტიმალური ვარიანტები, რაც შემდგომ პარაგრაფებში განხილულია უფრო დეტალურად.

8.1 ნარჩენების შემცირების ალტერნატივები

წინა პარაგრაფებში წარმოდგენილი „ვინ, სად, რა“ ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დღეისათვის განსახილველი დაცული ტერიტორიების დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროებს ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულ წყაროებთან მიმართებაში ნარჩენების მოცულობების შემცირების ღონისძიებების გატარების პრაქტიკული ღირებულება საკმაოდ მაღალია. მეორე მხრივ, ამ მიმართულებით დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის კომპეტენცია ნაკლებად ვრცელდება და, ძირითადად, ცნობიერების ამაღლების პროგრამებით შემოიფარგლება. ამავე დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის მხრიდან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების პროგრამებთან კოორდინაცია და მაღალი ხარისხის ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მხრიდან ნარჩენების შემცირების ალტერნატიული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- საკუთარი ნარჩენების მოცულობების შემცირება საჭირო მასალების და საშუალებების ოპტიმალური შერჩევის გზით, მაგალითად: სათანადო შეფუთვის მქონე გარემოსადმი მეგობრული პროდუქტების შეძენა, როგორიცაა ქაღალდი, მრავალჯერადი გამოყენების კარტრიჯები, ეკონათურები და სხვა;
- ეკოტურისტული თვალსაზრისით აქტიურ ლოკაციებზე ვიზიტორებისთვის სხვადასხვა სახის ფასიანი მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარის შეთავაზება (მაგალითად, წყლის მრავალჯერადი ბოთლები, ლაშქრობისთვის გამოსაყენებელი ჩანთები და სხვა);
- საკითხის გათვალისწინება მოიჯარე და კონტრაქტორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში.

8.2 ნარჩენების შეგროვების და გამოტანის ალტერნატივები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებისთვის განხილულია ნარჩენების შეგროვების შემდეგი ალტერნატივები:

1. ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განლაგებას მხოლოდ დაცული ტერიტორიების შესასვლელებთან, ხოლო დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე დაინერგოს პრინციპი „ნარჩენების გარეშე – გამოგაქვს ის, რაც შეგაქვს";
2. ნარჩენების შესაგროვებელი დიდი ზომის კონტეინერების განლაგება დაცული ტერიტორიების შესასვლელებთან (ნარჩენების შეგროვების ძირითადი პუნქტი). ასევე, შედარებით მცირე ზომის კონტეინერების განლაგება მოხდეს პოპულარულ ეკოტურისტულ ლოკაციებზეც (შეგროვების წინასწარი პუნქტები).
    - შეგროვების წინასწარი პუნქტებიდან ძირითად პუნქტამდე ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება დაცული ტერიტორიების თანამშრომლების მიერ;
    - შეგროვების წინასწარი პუნქტებიდან ძირითად პუნქტამდე ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის დახმარებით.

1-ლი ვარიანტის შემთხვევაში საჭიროა მეტი ძალისხმევა ეფექტიანი განათლების სისტემის დანერგვისა და კარგად განსაზღვრული წესების დაცვის უზრუნველყოფის მხრივ.

მე-2 ვარიანტი მოითხოვს მეტ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს შეგროვების წინასწარი პუნქტების მომსახურების მიზნით. ამ შემთხვევაში, ასევე, აუცილებელია მკაცრი კონტროლის მექანიზმების დანერგვა და მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება, რომ ადგილი არ ჰქონდეს საპირისპირო შედეგებს (მაგ. შეგროვების წინასწარი პუნქტების დაზიანება ამინდის ან სხვადასხვა ადამიანური ფაქტორების გამო; სეპარირებული შეგროვების პრინციპების დარღვევა მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების უსისტემო გამოყენების გამო და ა.შ.).

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს 4 სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებს: ეროვნული პარკი, სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი და ბუნების ძეგლი. ამავე დროს ეს დაცული ტერიტორიები მოიცავს საკმაოდ დიდ ფართობს და ერთმანეთისგან დაცილებულია საკმაოდ დიდი მანძილით. გასათვალისწინებელი საკითხია ადგილობრივი გზების ტექნიკური მდგომარეობაც. აქედან გამომდინარე ამ ტერიტორიების ფარგლებში განხილულია ნარჩენების შეგროვების სხვადასხვა (კომბინირებული) ალტერნატივები.

- ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის ტერიტორიებზე, რომელთა სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტები, ვიზიტორებისთვის მოქმედებს პრინციპი „ნარჩენების გარეშე – გამოგაქვს ის, რაც შეგაქვს".
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ქცია-ტაბაწყურის და ნეძვის აღკვეთილების ტერიტორიებზე ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები განლაგდეს როგორც დაცული ტერიტორიების შესასვლელებთან, ასევე ტურისტული თავშესაფარების, რეინჯერთა საგუშაგოების და საპიკნიკეების ტერიტორიაზე. ტურისტულ ბილიკებზე კი მოინიშნოს მანძილი ნარჩენების უახლოეს კონტეინერამდე.

დღეისათვის, წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობრივი და სახეობრივი ანალიზის მიხედვით, ეკოტურისტული ლოკაციებიდან ნარჩენების გამოტანისთვის კონტრაქტორი კომპანიების გამოყენება ფინანსური და ტექნიკური თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი. ნარჩენების ეფექტიანი მართვის მიზნით უმჯობესია ნარჩენების გამოტანა განხორციელდეს დაცული ტერიტორიების თანამშრომლების მიერ.

8.3 ნარჩენების წინასწარი დამუშავების ალტერნატივები

კოდექსის განმარტებით ნარჩენების წინასწარი დამუშავება სხვა ოპერაციებთან ერთად გულისხმობს სეპარირებასაც, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ნარჩენების შეგროვების ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობისათვის განცალკევებულია სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით.

განსახილველი დაცული ტერიტორიების ფარგლებში სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვისთვის მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რა ტიპის ნარჩენები უნდა ჩაერთოს დამუშავების (აღდგენის) პროგრამაში. თავის მხრივ, ამისთვის საჭიროა ასეთი ტიპის ნარჩენების გასაღების ბაზრების/შესაბამისი კონტრაქტორების იდენტიფიცირება.

დღეისათვის ასეთი ობიექტები, ძირითადად, ორიენტირებულია მსხვილ მომწოდებლებზე. ამასთანავე, ასეთი ობიექტების ტექნოლოგიური ხაზები არ არის გათვლილი სხვადასხვა ფიზიკურ კონდიციაში მყოფი ნარჩენების რეციკლირებაზე. გარკვეული სირთულეებია ტრანსპორტირების ოპერაციებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის ალტერნატივები, კერძოდ:

- საწყის ეტაპზე ნარჩენების სეპარირებული პრაქტიკის დანერგვა ძირითად ლოკაციაზე (ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი), რასაც ძირითადად, სადემონსტრაციო, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების მიზნები ექნება.
- შემდგომ ეტაპებზე ნარჩენების სეპარირებული პრაქტიკის დანერგვა დაცული ტერიტორიების სხვა აქტიურობის მქონე ეკოტურისტულ ლოკაციებზე; ასევე, ვალდებულებების დაკისრება მოიჯარე და კონტრაქტორი კომპანიებისთვის. აღნიშნულ ეტაპებზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ნარჩენების გასაღების ბაზრების და შესაბამისი კონტრაქტორების იდენტიფიცირებას.

8.4 ნარჩენების აღდგენის ალტერნატივები

დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების ადგილზე აღდგენის მხოლოდ ერთი ალტერნატიული ვარიანტი - კომპოსტირებაა - ოპტიმალური (ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით - აღდგენის ოპერაცია კოდით „R3“).

ადმინისტრაციის პერსონალის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის და მათი სახეობების გათვალისწინებით, კომპოსტირების ღონისძიების ჩატარება ადმინისტრაციული შენობის ფარგლებში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით, კომპოსტირების უბნის მოწყობის დიდი პოტენციალი არის საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, სოფ. ახალდაბაში. ამ ტერიტორიაზე, დიდი რაოდენობით წარმოქმნილი ხის მასალის ნახერხი ნარჩენები შეიძლება წარმატებულად გამოყენებულ იქნას კომპოსტირების პროცესში. ხოლო მიღებული კომპოსტის გამოყენება ჭრას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ხელს შეუწყობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებას.

8.5 ნარჩენების დროებითი შენახვის ალტერნატივები

კოდექსის განმარტებით ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი ეს არის ობიექტი, სადაც ინახება ნარჩენები 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის. 50 ტონაზე ნაკლები არასახიფათო და 2 ტონაზე ნაკლები სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება სპეციალურ რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

განსახილველი დაცული ტერიტორიების ფარგლებში არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობის ალტერნატივა, როგორც ტექნიკური, ასევე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, არ არის ოპტიმალური გამოსავალი. უკეთესი ალტერნატიული ვარიანტია არასახიფათო ნარჩენების გატანა მოხდეს დაგროვების შესაბამისად.

სახიფათო ნარჩენები მცირე რაოდენობებიდან გამომდინარე ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებულია მხოლოდ ადმინისტრაციული და ვიზიტორთა შენობის ფარგლებში, რომელმაც საგანმანათლებლო ფუნქციაც შეიძლება შეითავსოს. შემოთავაზებულია ორი ალტერნატიული ვარიანტი:

I ალტერნატივა - სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის კუთხის მოწყობა ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, სადაც განთავსდება შესაბამისი წარწერის მქონე ლითონის ურნა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისთვის;

II ალტერნატივა - სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვისთვის მინის გამჭირვალე ყუთის მოწყობა ვიზიტორთა შენობაში, სადაც სექციების მიხედვით განთავსებული იქნება სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენი (მაგ. ელემენტი, კარტრიჯი, ლუმინესცენტური ნათურა და სხვა). აღნიშნულ ყუთს ექნება შესაბამისი აღნიშვნა და წარწერები სეპარირებული შეგროვების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.



ამ ეტაპზე რეკომენდაციას უწევთ I ალტერნატიულ ვარიანტს.

სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის კუთხის მოწყობის შემოთავაზებული ადგილმდებარეობა - ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის ტერიტორიაზე არსებული ავტოპარეხი.

8.6 ნარჩენების ტრანსპორტირების ალტერნატივები

დღეისათვის დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილებამდე ტრანსპორტირება მუნიციპალური სამსახურების მიერ ხდება. პერსპექტივაში, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვასთან ერთად, შემოთავაზებულია ნარჩენების ტრანსპორტირების ორი ალტერნატიული ვარიანტი:

1. სეპარირებული ნარჩენების ტრანსპორტირება ნარჩენების მიღება-გადამუშავებაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორების მიერ;
2. სეპარირებული ნარჩენების ტრანსპორტირება საბოლოო განთავსების/აღდგენის ადგილებამდე საკუთარი ძალებით (საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით).

ნარჩენების ტრანსპორტირების მეთოდი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტების ადგილმდებარეობაზე და მათ მოთხოვნებზე. პერსპექტივაში შეიძლება დაინერგოს ორივე, ან კომბინირებული ტრანსპორტირების მეთოდი. აქვე აღსანიშნავია, რომ მე-2 ალტერნატიული ვარიანტი საჭიროებს დამატებით ინვესტიციებს სატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან და დამატებითი პერსონალის დაქირავებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, 1-ლი ალტერნატივის დამატებითი ფინანსური ხარჯები მომსახურების გაზრდილ ღირებულებას შეიძლება უკავშირდებოდეს.

9 ნარჩენების მართვის დაგეგმვა

9.1 ნარჩენების პრევენციის და შემცირების ღონისძიებები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ნარჩენების პრევენციის და შემცირების ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს:

- ადგილობრივ მოსახლეობასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, მათი ეკოგანათლება და ცნობიერების ამაღლება (დეტალურად აღწერილია შესაბამის პარაგრაფში);
- ეფექტიანი კოორდინაცია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების პროგრამებთან (დეტალურად აღწერილია შესაბამის პარაგრაფში);
- კონტრაქტორების/ინვესტორების კონტროლი, მათ ინდივიდუალურ ნარჩენების მართვის გეგმებში შემდეგი საკითხების გათვალისწინების მიზნით:
    - სამუშაო ზონების საზღვრების დაცვის ეფექტიანი ღონისძიებები, რათა ადგილი არ ჰქონდეს სამშენებლო და ნგრევის მასალების დამატებით წარმოქმნას;
    - დაცული ტერიტორიების საზღვრებში შემოსატანი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო მასალების და ინსტრუმენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლის ეფექტიანი ღონისძიებები;
- საკუთარი ნარჩენების პრევენციის და შემცირების ღონისძიებების ეფექტურად გატარება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგს:
    - სათანადო შეფუთვის მქონე გარემოსადმი მეგობრული პროდუქტების შეძენა, როგორიცაა ქაღალდი, მრავალჯერადი გამოყენების კარტრიჯები, ეკონათურები და სხვა;
    - უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ნორმების დაცვით ცალკეული სახის ინვენტარის გამოყენება შეძლებისდაგვარად მრავალჯერადად;
    - დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოების შეძლებისდაგვარად შეკეთება და ხელმეორედ გამოყენება (მაგ. დაცლილი კარტრიჯები გადაეცემა მომწოდებელს და მოხდება მათი დატენვა-აღდგენა);
    - მცირე რაოდენობით მედიკამენტების, ასევე, ეზოს ფარგლებში მწვანე ნარგავების შეწამვლისთვის საჭირო ქიმ-პრეპარატების შესყიდვისას გაკონტროლდება მათი ვარგისიანობის ვადა.
- ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების პრევენციის და შემცირების ღონისძიებების ეფექტურად გატარება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგს:
    - ეკოგანათლების და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება (დეტალურად აღწერილია შესაბამის პარაგრაფში);
    - ეკოტურისტული თვალსაზრისით აქტიურ ლოკაციებზე სხვადასხვა სახის ფასიანი მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარის შეთავაზება (მაგალითად, წყლის მრავალჯერადი ბოთლები, ლაშქრობისთვის გამოსაყენებელი ჩანთები და სხვა). კარგი პრაქტიკა იქნება მსგავს საველე ინვენტარზე დატანილი იყოს შესაბამისი საინფორმაციო წარწერები ან დაცული ტერიტორიების რუკა, სადაც მონიშნული იქნება ნარჩენების შესაგროვებელი ლოკაციები.

9.2 ნარჩენების შეგროვება და სეპარირების მეთოდები

როგორც ალტერნატივების ანალიზის პარაგრაფში აღინიშნა, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში შემოთავაზებულია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდების დანერგვა რამდენიმე ეტაპად. შემოთავაზებულია, რომ დაცული ტერიტორიების ფარგლებში სეპარირებული შეგროვების ღონისძიებები დაინერგოს 2 ეტაპად. ყოველი მომდევნო ეტაპი გულისხმობს ნარჩენების სეპარირების პროცესის გაუმჯობესებას. ეს ეტაპებია:

I. **ეტაპი** - ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრინციპების დანერგვა ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე, რასაც ექნება სადემონსტრაციო,

საგანმანათლებლო დანიშნულება. ამ ეტაპზე ნარჩენები დახარისხებული იქნება 3 ნაკადად: 1. ქაღალდი/მუყაო; 2. შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენები; 3. სახიფათო ნარჩენები (შერეული ბატარეები, აკუმულატორები, ლუმინესცენტული ან სხვა ვერცხლიწყლის შემცველი ნარჩენები და სხვა) - (2025-2026 წლიდან);

II. **ეტაპი -** ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრინციპების დანერგვა-გაუმჯობესება ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე არასახიფათო ნარჩენები დახარისხებული იქნება 4 ნაკადად: 1. ქაღალდი/მუყაო; 2. პალსტმასი/პოლიეთილენი; 3. ლითონის მცირე ზომის ნაწარმი; 4. ორგანული ნარჩენები; სახიფათო ნარჩენების დახარისხება მოხდეს 3 ნაკადად: 1. ნავთობპროდუქტების შემცველი ნარჩენები; 2. შერეული ბატარეები და 3. ლუმინესცენტური ან სხვა ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენები (2030 წლიდან).

ეკოტურისტულ ლოკაციებზე ვიზიტორების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები: ეკოტურისტული ბილიკების და ლოკაციების ფარგლებში წინასწარი შეგროვება გათვალისწინებული არ არის. პრინციპით „გამოგაქვს ის რაც შეგაქვს“ შერეული ნარჩენები განთავსდება უახლოეს მუნიციპალურ კონტეინერებში.

გარეშე წყაროების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები, რომელიც ვრცელდება დაცული ტერიტორიების საზღვრებში ან მის მიმდებარედ:

ნაწილობრივ შეგროვება ხდება რეინჯერების მიერ. შერეული ნარჩენები გატანილი და განთავსებული იქნება უახლოეს მუნიციპალურ კონტეინერებში.

9.2.1 მოთხოვნები ნარჩენების შეგროვების და გამოტანის პროცესში

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ნარჩენების ეფექტიანი შეგროვების და გამოტანის პროცესში:

- აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე მოხდება ნარჩენების წარმოქმნის მხრივ პრიორიტეტული ლოკაციების განსაზღვრა და ნარჩენების გამოტანის ეფექტიანი მარშრუტების შერჩევა;
- აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე მოხდება მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაცია პრიორიტეტულ ლოკაციებზე ნარჩენების შესაგროვებელი ურნების დამატება-განახლების მიზნით;
- აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე მოხდება ნარჩენების შესაგროვებელი საკუთარი ინვენტარის შეფასება და საჭიროების მიხედვით პრიორიტეტულ ლოკაციებზე ნარჩენების შესაგროვებელი ურნების დამატება-განახლება-წესრიგში მოყვანა;
- რეინჯერთა სადგურებში დაინერგება მოკლე ტრენინგების პრაქტიკა ტურისტული ჯგუფებისთვის, რომლის შინაარსი უნდა იყოს მათთვის ინფორმაციის მიწოდება შემდეგ საკითხებზე:
  - პრინციპის „გამოგაქვს ის რაც შეგაქვს“ აუცილებლობის შესახებ;
  - მუნიციპალური კონტეინერების ადგილმდებარეობების შესახებ;
  - სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის და მნიშვნელობის შესახებ.
- წელიწადში ორჯერ (აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ) განხორციელდება დაცული ტერიტორიების მგრძნობიარე მონაკვეთების მასშტაბური დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება. დასუფთავების აქციაში ჩართული იქნებიან მოხალისეები (მოსწავლეები, სტუდენტები და სხვა);
- ადმინისტრაციულ შენობაში წარმოქმნილი მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების შეგროვების პროცესში გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:
  - ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერი განთავსდება დახურულ შენობაში, მაქსიმალურად იზოლირებულ ოთახში;

- სახიფათო ნარჩენების შეფუთვა და კონტეინერი აღინიშნება შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშნით (ეტიკეტით);
- აკრძალულია ერთმანეთთან შეუთავსებელი ნარჩენების მოთავსება ერთსა და იმავე კონტეინერში;
- აკრძალულია ნარჩენების ხელით ჩაწნეხა;
- გამჭირვალე სადემონსტრაციო ყუთის მოწყობის შემთხვევაში ნარჩენები განთავსებული იქნება სექციებად. აღნიშნულ ყუთში განთავსდება მხოლოდ შერეული ბატარეები და ხელსაწყოები. აკრძალული იქნება აღნიშნულ ყუთში ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნარჩენების, ლუმინესცენტური ნარჩენების ან სხვა ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების განთავსება.

9.3 ნარჩენების ტრანსპორტირების პირობები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირება შესაძლოა განხორციელდეს ორი გზით:

1. სეპარირებული ნარჩენების ტრანსპორტირება ნარჩენების მიღება-გადამუშავებაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორების მიერ;
2. სეპარირებული ნარჩენების ტრანსპორტირება საბოლოო განთავსების/აღდგენის ადგილებამდე საკუთარი ძალებით (საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით).

ნარჩენების ტრანსპორტირების მეთოდი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტების ადგილმდებარეობაზე და მათ მოთხოვნებზე.

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ნარჩენების საკუთარი ძალებით ტრანსპორტირების პროცესში გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის:

- ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება იქნება ტექნიკურად გამართული. მისი აღჭურვილობა და კომპლექტაცია უნდა შეესაბამებოდეს გადასატანი ნარჩენების სახეობას. გამორიცხული უნდა იყოს ნარჩენების ქარით გაფანტვა ან ნალექების ნარჩენებზე ზემოქმედება;
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ექნებათ შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშანი;
- თავიდან იქნება აცილებული ერთმანეთთან შეუთავსებელი ნარჩენების ტრანსპორტირება;
- ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების განხორციელებამდე მიიღოს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს აღნიშნული მოწმობა;
- სახიფათო ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა (სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად).

9.4 ნარჩენების საბოლოო განთავსება ან აღდგენა

ნარჩენების მართვის პროცესის ბოლო ეტაპს მათი განთავსება (D) ან აღდგენა (R) წარმოადგენს. საწყის ეტაპზე უმეტესი სახეობის ნარჩენისთვის პრიორიტეტულად ჩაითვალა განთავსების ოპერაციები, რომ მოკლე პერიოდში მოხდეს არსებული პრობლემების გამოსწორება - დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების უსისტემო გავრცელების მაქსიმალური პრევენცია.

შემდგომ ეტაპებზე, პრიორიტეტი ენიჭება აღდგენის ღონისძიებებს, რაც საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკაა. მნიშვნელოვანია, რომ აღდგენის ღონისძიებების პრიორიტეტიზაცია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვა-გაუმჯობესების პარალელურად მოხდეს.

ცხრილში 9.4.1. წარმოდგენილია ინფორმაცია ნარჩენების საბოლოო განთავსება-აღდგენის შემოთავაზებული ღონისძიებების შესახებ, ნარჩენების სახეობების მიხედვით.

ცხრილი 9.4.1. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების და აღდგენის ღონისძიებები

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/აღდგენის ოპერაციები	
				განთავსების/აღდგენის კოდი	განმარტება
20 01 01	ქაღალდი და მუყაო	არა	-	R 5	გადაეცემა კონტრაქტორს შემდგომი აღდგენის მიზნით / შპს ნეოპრინტი
20 01 02	მინა	არა	-	D1 პერსპექტივაში, R 5	მუნიციპალური სამსახურების მიერ ტრანსპორტირდება და განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. პერსპექტივაში გადაეცემა კონტრაქტორს შემდგომი აღდგენის მიზნით
20 01 03	მცირე ზომის პლასტმასის ნარჩენი	არა	-	R 5	გადაეცემა კონტრაქტორს შემდგომი აღდგენის მიზნით / შპს აგროუბანი
20 01 05	მცირე ზომის ლითონის ნაწარმი	არა	-	R 4	გადაეცემა კონტრაქტორს შემდგომი აღდგენის მიზნით / შპს „ჯეო სტილი“
20 01 08	სამზარეულოს ორგანული ნარჩენები	არა	-	R 3	მუნიციპალური სამსახურების მიერ ტრანსპორტირდება და განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე
20 01 32	მედიკამენტები	არა	-	D 1	მუნიციპალური სამსახურების მიერ ტრანსპორტირდება და განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე
20 02 01	კომპოსტირებადი ნარჩენები	არა	-	R 3	კომპოსტირება წარმოქმნის ადგილზე
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	D 1	მუნიციპალური სამსახურების მიერ ტრანსპორტირდება და განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე
20 01 27*	საღებავები, მელნები, წებოვანი და რეზინის, რომლების შეიცავს საშიში ქიმიურ ნივთიერებებს;	დიახ	H 5	D 10 ან R 9	გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს: • ნარჩენის ინსინერაციას /შპს „მედიკალ ტექნოლოჯი“ ან • ნარჩენის აღდგენას/შპს „სანიტარი“
20 01 33*	20 01 33* - შერეული ბატარეები და აკუმულატორები	დიახ	H 5	R 4	გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღდგენას / შპს ჯეო

					სტილი; შპს ანტკელი
20 01 35*	წუნდებული ხელსაწყოები	დიახ	H 4, H 5	R 4	გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღდგენას / შპს ჯეო სტილი
15 02 02*	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ქსოვილები (საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი)	დიახ	H 15	D 10	გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენის ინსინერაციას / შპს „მედიკალ ტექნოლოჯი“, შპს „სანიტარი“
17 09 03*	სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები (მათ შორის შერეული ნარჩენები), რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს;	დიახ	H 5, H 7	D 10 (პერსპექტივაში - D 1)	გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენის ინსინერაციას. პერსპექტივაში, ქვეყანაში სახიფათო ნარჩენების პოლიგონის მოწყობის შემთხვევაში ექვემდებარება ნაგავსაყრელზე განთავსებას. ***(ნარჩენის საბოლოო განთავსება-აღდგენის ვალდებულება ექნება კონტრაქტორს)***
17 09 04	შერეული სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები	არა	-	D 1	რეგიონში მოქმედ სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე. ***(ნარჩენის საბოლოო განთავსება-აღდგენის ვალდებულება ექნება კონტრაქტორს)***

- შპს აგროუბანი - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დამტკიცების ბრძანების გაცემის თარიღი 22.03.2024 და N 162/ს;
- შპს „ჯეო სტილი“ - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დამტკიცების ბრძანების №2-50 (21.01.2020);
- შპს „ნეოპრინტი“ - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დამტკიცების ბრძანების გაცემის თარიღი 18.05.2021 და N 2-692;
- შპს „მედიკალ ტექნოლოჯი“ - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დამტკიცების ბრძანების №2-714 (26.07.2019) და №2-1261 (31.12.2020);
- შპს „სანიტარი“ - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დამტკიცების ბრძანების №2-153 (20.02.2020) და №2-351 (16.05.2018);
- შპს ანტკელი - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დამტკიცების ბრძანების გაცემის თარიღი 01.03.2018 და N 2-117.

9.5 მოთხოვნები კონტეინერების შერჩევასა და განთავსებასთან დაკავშირებით

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს განსახილველი დაცული ტერიტორიების საზღვრების მომიჯნავედ მუნიციპალური კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა ან არასათანადო ადგილმდებარეობა. მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო კომუნიკაციის გზით საჭიროა მუნიციპალური კონტეინერების განთავსების ადგილების სათანადო შერჩევა-კორექტირება. ამავე დროს, დაცული ტერიტორიების საზღვრებთან განსათავსებელი კონტეინერები, ადგილმდებარეობის მგრძნობიარობიდან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნების უსაფრთხოების დამატებით კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

სიტუაციური ანალიზის მიხედვით კონტეინერების განახლება-დამატების საჭიროება დგას შემდეგ ლოკაციებზე (იხ. ცხრილი 9.5.1.)

ცხრილი 9.5.1. ლოკაციები, სადაც საჭიროა კონტეინერების დამატება

№	ლოკაციის დასახელება	დასამატებელი კონტეინერის რაოდენობა	პასუხისმგებელი
1.	ბაირაღის თავშესაფარი	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
2.	ლიკანის ხეობის საპიკნიკე	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
3.	ქვაბისხევის საგუშაგო	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
4.	ქვაბისხევის ტურისტული თავშესაფარი	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
5.	აწყურის საგუშაგო	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
6.	ნეძვის აღკვეთილის საგუშაგო	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
7.	აბასთუმნის საგუშაგო	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
8.	ნუნისის საგუშაგო	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
9.	მარელისის საგუშაო	1 ცალი (120 ლ)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
10.	ჩითახევი (X 358443 Y 4627542)	1 ცალი (220 ლ)	ბორჯომის მუნიციპალიტეტი
11.	ვაშლოვანა (X 368040 Y 4634664)	1 ცალი (220 ლ)	ბორჯომის მუნიციპალიტეტი

კონტეინერების შერჩევა და განთავსება უნდა განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

მუნიციპალური კონტეინერები შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების მიზნით:

- მუნიციპალური კონტეინერები უნდა იყოს სტანდარტული დიზაინის და გამძლე - მიზანშეწონილია ყველგან ერთი სტანდარტული დიზაინის კონტეინერების დადგმა;
- კონტეინერი უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანის ჩატვირთვის მექანიზმს;
- კონტეინერები განთავსებული უნდა იყოს აქტიური სარგებლობის უბნებთან მაქსიმალურად ახლოს (განსაკუთრებით, დაცული ტერიტორიების შესასვლელებთან), ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომ ტერიტორიებზე. ამასთანავე, კონტეინერები ორგანულად უნდა ერწყმოდეს გარემოს და არ უნდა არღვევდეს ესთეტიურ ხედს;
- კონტეინერების განთავსება უნდა მოხდეს სწორი რელიეფის პირობებში, მცენარეული საფარისგან მაქსიმალურად თავისუფალ უბანზე;
- კონტეინერები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს გარეშე ფაქტორებისგან (მათ შორის, ამინდის გავლენისგან);
- დაცული ტერიტორიების სიახლოვეს განთავსებული კონტეინერების ტექნიკური მდგომარეობა, ასევე, მათი რაოდენობა უნდა მოწმდებოდეს წელიწადში ორჯერ, აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ.

ადმინისტრაციის კონტეინერები სეპარირებული ნარჩენების შეგროვების მიზნით:

- კონტეინერების განთავსება ვიზიტორებისთვის (მათ შორის, ბავშვებისთვის) ხელმისაწვდომ ადგილებში;
- კონტეინერები კარგად უნდა იყოს ეტიკეტირებული (ნათლად უნდა იყოს მითითებული რა ტიპის ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს კონკრეტულ კონტეინერში), კონტეინერში ნარჩენების სათანადო ფრაქციის სწორედ განთავსების პროცესის ხელშეწყობის მიზნით;
- კონტეინერების განთავსება და დიზაინი არ უნდა არღვევდეს ადგილმდებარეობის ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოს;
- კონტეინერები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს გარეშე ფაქტორებისგან (მათ შორის, ამინდის და ცხოველების გავლენისგან). ამავე დროს, კონტეინერების დიზაინი მისი ადვილად დაცლის საშუალებას უნდა იძლეოდეს;
- კონტეინერების ტექნიკური მდგომარეობა, ასევე, მათი რაოდენობა უნდა მოწმდებოდეს მინიმუმ წელიწადში ორჯერ, აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ.

მუნიციპალური კონტეინერების და დაცული ტერიტორიების ფარგლებში გათვალისწინებული სეპარირებული ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების მაგალითები იხ. სურათებზე 9.5.1.

სურათები 9.5.1. ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების მაგალითები

მუნიციპალური კონტეინერები:





სეპარირებული შეგროვების კონტეინერები:









9.6 საინფორმაციო ნიშნები



დღეისათვის ერთ-ერთ გამოწვევას საინფორმაციო ნიშნების ნაკლებობა წარმოადგენს. ეფექტიანად ბრენდირებული და ოპტიმალურ ადგილებზე განთავსებული საინფორმაციო ნიშნები დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების უსისტემო გავრცელების პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია.

აღსანიშნავია, რომ ნარჩენებით დაბინძურების მაღალი

რისკის მქონე ლოკაციებზე, ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ გამოკრულია წარწერები: „ნაგავს ნუ დაყრით! მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, დაჯარიმდებით!“, რასაც სამწუხაროდ ეფექტი არ აქვს.

საინფორმაციო ნიშნების განთავსება-განახლების პროცესში ძირითად სამიზნე ობიექტებს წარმოადგენს:

- დაცული ტერიტორიების საზღვრისპირა დასახლებების მაცხოვრებლები;
- საავტომობილო გზის მგზავრები;
- მწყემსები;
- ვიზიტორები.

მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო ნიშნების ბრენდირება და განთავსება შესაბამის სამიზნე ობიექტებზე იყოს აქცენტირებული. ცხრილში 9.6.1. წარმოდგენილია ინფორმაცია დაცული ტერიტორიების საზღვრებში და საზღვრისპირა ადგილებში საინფორმაციო ნიშნების ეფექტიანი განაწილების შესახებ.

ცხრილი 9.6.1.

ადგილმდებარეობა	საინფორმაციო ნიშნების შინაარსი
დაცული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლები	მითითება დაცულ ტერიტორიებში მოქცევის წესებზე, ასევე, ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო სანქციებზე. ნიშნები, საჭიროებისამებრ, წარმოდგენილი უნდა იყოს, ასევე, უცხოურ ენაზე
ტრადიციული საძოვარი ტერიტორიები	მითითება დაცულ ტერიტორიებში მოქცევის წესებზე, ასევე, ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო სანქციებზე. საინფორმაციო ნიშნები, საჭიროებისამებრ, წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ქართულ, ასევე, უცხოურ ენაზე
რეინჯერთა სადგური	• მითითება დაცულ ტერიტორიებში მოქცევის წესებზე, ასევე, ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო სანქციებზე; • საინფორმაციო ნიშნები ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასთან დაკავშირებით; • ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უბანზე საინფორმაციო დაფის განთავსება, სადაც მოცემული იქნება: ○ დაცული ტერიტორიების რუკა ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების დატანით; ○ საინფორმაციო დაფა ნარჩენების დაშლის პერიოდების შესახებ (მაგალითი იხ. სურათზე 9.6.1.).;
კომპოსტირების უბნები	ინფორმაცია კომპოსტირების წესების შესახებ, მათ შორის, კომპოსტირებას დაქვემდებარებული ნარჩენების ჩამონათვალი და იმ ნარჩენების ჩამონათვალი, რომელიც კომპოსტირებას არ ექვემდებარება.
ტურისტულად აქტიური ლოკაციები, მათ შორის: დაცული ტერიტორიების შესასვლელები, საპიკნიკე	• მითითება დაცულ ტერიტორიებში მოქცევის წესებზე, ასევე, ნარჩენებით გარემოს

ტერიტორიები, გადასახედები და სხვა.	დაბინძურებაზე ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო სანქციებზე; • მითითება აღნიშნულ ლოკაციასთან არსებულ უახლოეს მუნიციპალურ კონტეინერებთან დაკავშირებით; • საინფორმაციო ნიშნები ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასთან დაკავშირებით; • მითითება „გამოგაქვს ის რაც შეგაქვს“ პრინციპთან დაკავშირებით; • კარგი პრაქტიკაა ცალკეულ ლოკაციებზე კარიკატურების, სახალისო ლექსების და ფრაზების განთავსება (მაგალითები იხ. სურათებზე 9.6.2.).

გარდა ამისა, სეპარირებული ნარჩენების შეგროვების კონტეინერებს უნდა ჰქონდეთ სათანადო აღნიშვნა და წარწერა მასში განსათავსებელი ნარჩენების სახეობებთან დაკავშირფებით.

სურათი 9.6.1. საინფორმაციო დაფის მაგალითი ნარჩენების დაშლის პერიოდების შესახებ



სურათები 9.6.2. ნიშნებზე კარიკატურების და სახალისო ლექსების ასახვა







9.7 კომპოსტირება

განსახილველ დაცულ ტერიტორიებზე წარმოქმნილი გარკვეული სახის ნარჩენების საბოლოო მართვის ერთ-ერთ მეთოდად შემოთავაზებულია ადგილზე აღდგენა - კომპოსტირება, რაც შესაბამისობაშია კოდექსით განსაზღვრულ „სიახლოვის პრინციპთან“.

კომპოსტირება ეს არის ბიოლოგიური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების, მიკროორგანიზმების, ტენისა და ჟანგბადის ურთიერთზემოქმედების შედეგად და რომლის საშუალებითაც მყარი ორგანული ნარჩენები გარდაიქმნება ჰუმუსის მსგავს პროდუქტად – კომპოსტად, რომელიც შავი, ფხვიერი მიწის სუნის მქონე ორგანულ მასას წარმოადგენს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კომპოსტირების უბნის მოწყობის დიდი პოტენციალი გააჩნია საქმიანი ეზოს ტერიტორიას, სოფ. ახალდაბაში. ამ ტერიტორიაზე, დიდი რაოდენობით წარმოქმნილი ხის მასალის ნახერხი ნარჩენები შეიძლება წარმატებულად გამოყენებულ იქნას კომპოსტირების პროცესში. ხოლო კომპოსტის გამოყენება ჭრას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, იმუშავებს როგორც შემარბილებელი ღონისძიება. კომპოსტის გამოყენე,ბა ხელს შეუწყობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებას და დაიცავს მას გამოლფიტვისგან.

სურათი 9.7.1. კომპოსტირების უბნის მაგალითი (ცალკეულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე)



9.8 ეკოგანათლება და ცნობიერების ამაღლების პროგრამები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ნარჩენების მართვის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი უნდა იყოს მომსახურე პერსონალის, ვიზიტორების და მიმდებარე მოსახლეობის განათლება და ინფორმირებულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა. ცნობიერების ამაღლების და საგანმანათლებო პროგრამამ უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები:

- ადმინისტრაციის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის საკითხებზე, მიზანმიმართული სწავლებების და განხილვის გზით. ამ თვალსაზრისით რეკომენდებულია, რომ ადმინისტრაციის მინიმუმ ერთ თანამშრომელს გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი ნარჩენების მართვის სფეროში და ფლობდეს შესაბამის სერთიფიკატს. ტრენინგების ფარგლებში უნდა მიიღონ ცოდნა შემდეგ საკითხებზე:
  - ნარჩენების ტიპების/სახეობების შესახებ;
  - ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ;
  - ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ;
  - მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ;
  - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვის პროცესის საკანონმდებლო მოთოვნების შესახებ და ა.შ.

  კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული პერსონალის ძირითადი მოვალეობები უნდა იყოს:
  - ნარჩენების მართვის გეგმის განახლება-კორექტირების საჭიროების დადგენა;
  - ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ორგანიზება;
  - ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება.
- ვიზიტორების ინფორმირება ნარჩენების მართვის საკითხებზე დაცული ტერიტორიების დათვალიერებამდე. მათთვის საინფორმაციო ბროშურების დარიგება, სადაც მითითებული იქნება ნარჩენების გამოსატანი მარშრუტები და მუნიციპალური კონტეინერების ადგილმდებარეობა;
- ვიზიტორების ჩართვა დაცულ ტერიტორიებზე დანერგილი ნარჩენების მართვის პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე;
- დაცულ ტერიტორიებზე საგანმანათლებლო სპეციალური ტურების ორგანიზება თემების, სკოლების და მოსახლეობისათვის (წელიწადში მინიმუმ ერთხელ), ძირითად სამიზნე ობიექტებს წარმოადგენს შემდეგი დასახლებული პუნქტები: ბორჯომი, ლიკანი აბასტუმანი, ქვიშხეთი, ტაბაწყური, მოლითი.
- აქტიური ეკოტურისტული სეზონის დაწყებამდე დაბინძურების მაღალი რისკების მქონე ლოკაციების სიახლოვეს არსებულ დასახლებებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო ობიექტებში (მათ შორის, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და სხვა) შესაბამისი საინფორმაციო ბროშურების დარიგება;
- ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდებზე;
- დასუფთავების აქციების ორგანიზება, ფართო საზოგადოების წარმომადგენლების, მოხალისეების მონაწილეობით, აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ. დასუფთავების აქციების ძირითად სამიზნე ლოკაციებს ზემოთ აღნიშნული, დაბინძურების მაღალი რისკის მქონე უბნები წარმოადგენს.

9.9 მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა ნარჩენების მართვის პროცესში

ნარჩენების მართვის პროცესში მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მათ შორის მნიშვნელოვანია კოორდინაცია მუნიციპალური


ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების პროგრამებთან. ნარჩენების მართვის პროცესში მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- **მონაწილეობა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება-განახლების პროცესში:** ადმინისტრაციამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებაში. მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა ინტეგრირებული იყოს მუნიციპალურ პროგრამებში. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:
  - პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება დაცული ტერიტორიების მომიჯნავედ გამავალ ახალციხე-ხაშირის საავტომობილო გზის გასწვრივ. კერძოდ, ვიდეო-კამერების დაყენებით და დაბინძურების ფაქტებზე საჯარიმო სანქციების გამოყენებით.
  - ჩართულობა დაცული ტერიტორიების მომიჯნავე სოფლებში მუნიციპალური კონტეინერების ოპტიმალური განლაგების და რაოდენობების განსაზღვრის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ კონტეინერების განლაგების და რაოდენობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს ვიზიტორების გადაადგილების ძირითადი მარშრუტები სეზონურ ჭრილში;
  - ჩართულობა დაცული ტერიტორიების მომიჯნავე სოფლებში მუნიციპალური კონტეინერების ოპტიმალური დიზაინის შერჩევის პროცესში. ზოგიერთ უბანზე შესაძლებელია საჭირო იყოს დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღება გარეშე ფაქტორების ზემოქმედების და ნარჩენების უსისტემო გავრცელების პრევენციის მიზნით;
  - ჩართულობა მუნიციპალური კონტეინერების განტვირთვის პერიოდულობის განსაზღვრის პროცესში. გათვალისწინებული უნდა იყოს ვიზიტორების გადაადგილების ძირითადი მარშრუტები და ტურისტული სეზონურობა;

- **კოორდინაცია ეკოგანათლების და ცნობიერების ამაღლების პროგრამების ფარგლებში:** ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებს შორის შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მკაფიო შეხების წერტილები ეკოგანათლების და ცნობიერების ამაღლების პროგრამების ფარლებში. შესაძლებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს ერთობლივი საგანმანათლებლო ტერინინგები დაცული ტერიტორიების მომიჯნავედ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ხელი შეეწყოს შესაბამისი ბროშურების გავრცელებას. ასევე მნიშვნელოვანია მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა პერიოდული დასუფთავების აქციების ფარგლებში.

- **კოორდინაცია ნარჩენების აღდგენის პროცესში.** პერსპექტივაში შესაძლებელია შეიკრას ძალზედ სასარგებლო და ეფექტიანი ჯაჭვი ადმინისტრაციას, მუნიციპალიტეტებსა და რეგიონში მოქმედ ნარჩენების გადამამუშავებელ ობიექტებს შორის. საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ეფექტიანი კომუნიკაცია მუნიციპალურ შესაბამის სამსახურებთან, რომ უზრუნველყოფილი იყოს ასეთი ობიექტების მხარდაჭერა. თანამშრომლობის მიახლოებითი მაგალითი მოცემულია დიაგრამაზე 9.9.1.

  დიაგრამა 9.9.1.



9.10 ადამიანური და ტექნიკური რესურსი

ადგილზე ჩატარებული სიტუაციური ანალიზის მიხედვით (მათ შორის, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგებით) განსახილველი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ესაჭიროება დამატებითი ადამიანური რესურსი რეინჯერების სახით. მომავალში, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების და კომპოსტირების პროცესის დანერგვა-დახვეწის პარალელურად, საჭირო იქნება მინიმუმ 1 პერსონალის დამატება, რომლის ძირითადი კომპეტენცია ნარჩენების მართვის პროცესს მოიცავს.

არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესების საჭიროება არ დგას ნარჩენების მართვის პროცესის გაუმჯობესება-დახვეწის პროცესის საწყის ეტაპებზე. დღეისათვის სხვა ტექნიკური აღჭურვილობის განსაკუთრებული ნაკლებობა არ აღინიშნება.

10 ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა

მიზანი	ამოცანა	აქტივობა	განხორციელების პერიოდი, წელი[3]	აქტივობის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	მიახლოებითი ხარჯები		დაფინანსების წყარო
						ერთჯერადი ხარჯი, ლ	ხარჯი, ლ/წელ	
დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას, მათ უსაფრთხოდ შეგროვებასა და საბოლოო განთავსებას.	1. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების პრევენციის და შემცირების ეფექტიანი ღონისძიებების დანერგვა	1.1. ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება და შეთანხმება ადმინისტრაციასთან. საკითხი ასახული უნდა იყოს მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.	ხელშეკრულების გაფორმების ან განახლების პროცესში	ყოველ პროექტზე ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმა	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	-	-	-
		1.2. კონტრაქტორების/ ინვესტორების კონტროლი, მათი ინდივიდუალურ ნარჩენების მართვის გეგმების შესრულების მიმართულებით	წელიწადში ორჯერ და პროექტის დასრულების შემდგომ	კონტროლი საქმიანობის დაწყების და დასრულების პროცესში	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	-
		1.3. ვიზიტორთა ცენტრში/რეინჯერთა სადგურებში სხვადასხვა სახის ფასიანი მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარის შეთავაზება	2025-2026	ვიზიტორთა ცენტრში/რეინჯერთა სადგურებში, შესაბამის სტენდებზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ფასიანი მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი, რაც	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	-	1000 (შესაძლებელია ფინანსური სარგებელი)	დაცული ტერიტორიების სააგენტო

[3] გეგმა ცოცხალი დოკუმენტია და ცალკეული აქტივობების განხორციელების ვადები შესაძლებელია დაკორექტირდეს ადგილობრივი ადმინისტრაციის და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შეხედულებისამებრ, არსებული რესურსების გათვალისწინებით, რაც საჭიროებისამებრ დამატებით უნდა შეთანხმდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

				ხელმისაწვდომია ვიზიტორებისთვის				
		1.4. ადგილობრივი და ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელება ე.წ. „მწვანე შესყიდვების“ პრინციპით (იხ. პარაგრაფი 9.1.).	2025-2026	ადმინისტრაციის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შემცირებული წილი. „მწვანე შესყიდვების“ პრინციპი ასახულია მომწოდებელ კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ან სატენდერო დოკუმენტაციებში	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	-	-	-
	2. ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი ღონისძიებების დანერგვა	2.1. ეფექტიანი კომუნიკაცია ბორჯომის, ხარაგაულის, ხაშურის, ახალციხის, ადიგენის, ბაღდათის, ახალქალაქის და ხულოს მუნიციპალიტეტთან, მათ შორის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება/განახლების პროცესში. (საჯარო განხილვებში მონაწილეობა და საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების მიწოდება)	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება-განახლების პროცესში	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში გათვალისწინებულია ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი პრინციპები. განხილვებში ადმინისტრაციის მონაწილეობა დასტურდება საჯარო განხილვის სხდომის ოქმებით	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	-	-	-
		2.2. მუნიციპალური კონტეინერების განახლება. ოპტიმალური	უნდა გადაწყდეს მუნიციპალიტეტთან კონსულტაციების საფუძველზე	ადმინისტრაციას აქვს ეფექტიანი კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის	მუნიციპალიტეტების მერია, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების	-	-	-

		განლაგება.		დასუფთავების სამსახურებთან.	ადმინისტრაციის ჩართულობით			
		2.3. ადმინისტრაციის შენობასთან სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვის მიზნით კონტეინერების და საინფორმაციო ნიშნების განახლება	2025-2026	ადმინისტრაციული შენობის ფარგლებში ნარჩენების შეგროვება ხდება ნაკადების მიხედვით	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	5000	500	დაცული ტერიტორიების სააგენტო / დონორი ორგანიზაციები
		2.4. ნარჩენების წარმოქმნის მხრივ პრიორიტეტული ლოკაციების განსაზღვრა და ნარჩენების გამოტანის ეფექტიანი მარშრუტების შერჩევა;	2025 წლიდან აქტიური სეზონების დაწყებამდე	ადმინისტრაციას გააჩნია დაცული ტერიტორიების რუკა, სადაც მონიშნულია პრიორიტეტული ლოკაციები და ნარჩენების გამოტანის მარშრუტები	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	-
		2.5. მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაცია პრიორიტეტულ ლოკაციებზე ნარჩენების შესაგროვებელი ურნების დამატება-განახლების მიზნით;	2025 წლიდან აქტიური სეზონების დაწყებამდე	არსებობს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებსა და ადმინისტრაციას შორის შეხვედრების ამსახველი ოქმები	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტის ჩართულობით	-	-	-
		2.6. ნარჩენების შესაგროვებელი საკუთარი ინვენტარის შეფასება და საჭიროების მიხედვით პრიორიტეტულ ლოკაციებზე ნარჩენების შესაგროვებელი	2025 წლიდან აქტიური სეზონების დაწყებამდე	პრიორიტეტულ ლოკაციებზე არსებობს საკმარისი რაოდენობის ურნები	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	-	500	-

		ურნების დამატება-განახლება-წესრიგში მოყვანა;						
		2.7. ვიზიტორთა ცენტრში/რეინჯერთა სადგურებში დაინერგება ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა ტურისტული ჯგუფებისთვის, შემდეგ საკითხებზე: პრინციპის „გამოგაქვს ის რაც შეგაქვს“ აუცილებლობის შესახებ; მუნიციპალური კონტეინერების ადგილმდებარეობების შესახებ; სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის და მნიშვნელობის შესახებ.	2025-2026	ვიზიტორთა ცენტრში/რეინჯერთა სადგურებში არსებობს შესაბამისი საპრეზენტაციო მასალა, ბროშურები და სხვა, რაც საჭიროა ვიზიტორებისთვის ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკის და ამ პროცესებში მათი ვალდებულებების მაცნობის მიზნით.	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	-
		2.8. დაცული ტერიტორიების მგრძნობიარე მონაკვეთების მასშტაბური დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება. დასუფთავების აქციაში ჩართული იქნებიან მოხალისეები (მოსწავლეები, სტუდენტები და სხვა);	წელიწადში ორჯერ (აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ)	წელიწადში ორჯერ	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მუნიციპალიტეტების ჩართულობით	-	2000	დაცული ტერიტორიების სააგენტო
		2.9. სახიფათო ნარჩენების განცალკევებით შეგროვების პრაქტიკის	2025-2026	ადმინისტრაციის შენობაში არსებობს სახიფათო ნარჩენების	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	დაცული ტერიტორიების სააგენტო /დონორი

		დანერგვა		შესაგროვებელი კუთხე				ორგანიზაციები
	3. აღდგენის (კომპოსტირების) ეფექტიანი მეთოდის დანერგვა	3.1. კომპოსტირების მეთოდის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა საქმიკან ეზოსთან სოფ. ახალდაბა		ვიზიტორთა ცენტრის შენობასთან არსებობს კომპოსტირების უბანი, სადაც განთავსებულია საინფორმაციო დაფა, შესაბამისი ინსტრუქციით.	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	15000	500	დაცული ტერიტორიების სააგენტო /დონორი ორგანიზაციები
	4. სეპარირებული ნარჩენების საბოლოო განთავსება-აღდგენის ღონისძიებების გატარება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად	4.1. კონტრაქტორების მოძიება და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება სეპარირებული ნარჩენების გატანა-აღდგენასთან დაკავშირებით	2025-2026	კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო		დამოკიდებულია კონტრაქტორი კომპანიის მოთხოვნებზე (შესაძლებელია ფინანსური სარგებელი)	დაცული ტერიტორიების სააგენტო
ვიზიტორების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.	5. ეკოგანათლება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ნარჩენების მართვის საკითხებზე	5.1. დაცული ტერიტორიების თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება ტრენინგის გზით - ადმინისტრაციის მინიმუმ ერთ თანამშრომელს გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი ნარჩენების მართვის სფეროში.	2025-2026	ადმინისტრაციის მინიმუმ ერთი თანამშრომელი გადამზადებულია გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების სააგენტო	1500	-	-
		5.2. ვიზიტორების ინფორმირება ნარჩენების მართვის საკითხებზე დაცული	2025-2026	ვიზიტორთა ცენტრში/რეინჯერთა სადგურებში არსებობს შესაბამისი	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია/დაცული ტერიტორიების	-	-	-

		ტერიტორიების დათვალიერებამდე.		საპრეზენტაციო მასალა, ვიდეორგოლები, ბროშურები და სხვა, რაც საჭიროა ვიზიტორებისთვის ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკის და ამ პროცესებში მათი ვალდებულებების მაცნობის მიზნით.	სააგენტო			
		5.4. დაცულ ტერიტორიებზე საგანმანათლებლო სპეციალური ტურების ორგანიზება სკოლების და მოსახლეობისათვის	2025 წლიდან, წელიწადში მინიმუმ ერთხელ	წელიწადში მინიმუმ ერთხელ ჩატარებულია საგანმანათლებლო ტურები	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტებტან თანამშრომლობით	-	-	-
		5.5. ეკოტურისტული სეზონის დაწყებამდე დაბინძურების მაღალი რისკების მქონე ლოკაციების სიახლოვეს არსებულ დასახლებებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო ობიექტებში შესაბამისი საინფორმაციო ბროშურების დარიგება;	2025 წლიდან, აქტიური ეკოტურისტული სეზონის დაწყებამდე	შესაბამის ადგილებში დარიგებულია საინფორმაციო ბროშურები	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	-
		5.6. ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების და	2025	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდებზე განთავსებულია	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	-

		დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდებზე;		შესაბამისი ინფორმაცია				
		5.7. დასუფთავების აქციების ორგანიზება, ფართო საზოგადოების წარმომადგენლების, მოხალისეების მონაწილეობით	2025 წლიდან, აქტიური ეკოტურისტული სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ	დასუფთავების აქციების ორგანიზება, წელიწადში ორჯერ	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	1000	დაცული ტერიტორიების სააგენტო
		5.8. დაცული ტერიტორიის და მისი საზღვრისპირა მგრძნობიარე უბნების აღჭურვა შესაბამისი საინფორმაციო ნიშნებით და ბანერებით	2025-2026	მგრძნობიარე უბნები (პარაგრაფი 9.6.-ის მიხედვით) აღჭურვილია შესაბამისი საინფორმაციო ნიშნებით და ბანერებით	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	5000	-	დაცული ტერიტორიების სააგენტო /დონორი ორგანიზაციები
ნარჩენების მართვის პროცესის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნულ და	6. ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის სისტემის დანერგვა	6.1. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემების შეგროვება	2025-2026	ადმინისტრაციას გააჩნია მონაცემები ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	-	-	-

11 ნარჩენების მართვის სისტემის მონიტორინგი და ანგარიშგება

ნარჩენების მართვის გეგმის ეფექტიანად რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემის დანერგვა. ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგმა უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები:

- დაცული ტერიტორიების მოსაზღვრე ისტორიულად დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე უბნების შემოწმება წელიწადში მინიმუმ ორჯერ;
- ნარჩენების მართვის დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;
- ნარჩენების კონტეინერების ეფექტიანობის შეფასება აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე;
- კომპოსტირების უბნების ეფექტიანობის შეფასება წელიწადში ორჯერ;
- კონტეინერების მდგომარეობის შეფასება და დაზიანებული კონტეინერების მაქსიმალურად სწრაფად გამოცვლა (აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და კვირაში ერთჯერ აქტიურ სეზონზე);
- კონტეინერების ადგილმდებარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება (აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და კვირაში ერთჯერ აქტიურ სეზონზე);
- კონტეინერების რაოდენობების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დამატება (აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე და კვირაში ერთჯერ აქტიურ სეზონზე);
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საინფორმაციო ნიშნების მუდმივი მონიტორინგი და საჭიროებისამებრ, მათი შეკეთება/გამოცვლა/დამატება (აქტიური ტურისტული სეზონის დაწყებამდე).

წელიწადში ერთჯერ უნდა მოხდეს ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების მიხედვით მისი კორექტირება. ნარჩენების მართვის გეგმის კორექტირებული ვერსია უნდა შეთანხმდეს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან“ და საჭიროების შემთხვევაში განხილული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებთან.

12 ძირითადი რეკომენდაციები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების ფარგლებში შემუშავებულია შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

- დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების პრევენციის და შემცირების ეფექტური ღონისძიებების გატარება, რაც ძირითადად გულისხმობს კონტრაქტორებთან და ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ნარჩენების მართვის საკითხის გათვალისწინებას, ვიზიტორებისთვის ფასიანი მრავალჯერადი ინვენტარის შეთავაზების პრაქტიკის დანერგვას, ე.წ. მწვანე შესწყიდვების პრინციპის დანერგვას;

- ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების პროცესში აქტიურ ჩართულობას, მუნიციპალური კონტეინერების განახლების პროცესში მუნიციპალიტეტთან მჭიდრო კომუნიკაციას, ადმინისტრაციის შენობასთან სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის ეტაპობრივ დანერგვას, ნარჩენების წარმოქმნის მხრივ პრიორიტეტული ლოკაციების განსაზღვრას და ნარჩენების გამოტანის ეფექტური მარშრუტების შერჩევას, დაცული ტერიტორიების მგრძნობიარე მონაკვეთების და ასევე მიმდებარე ტერიტორიების პერიოდულ დასუფთავებას, სახიფათო ნარჩენების განცალკევებით შეგროვების პრაქტიკის დანერგვას;

- ადმინისტრაციის საქმიანობის შედეგად, წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (ფოტოხაფანგების ელემენტები, აკუმულატორიები და შერეული ბატარეები, ლუმინისცირებული ნათურები, წუნდებული ხელსაწყოები და ა.შ.) დროებითი შენახვის

კუთხის//უბნის მოწყობა, სადაც განთავსდება შესაბამისი წარწერის მქონე ლითონის ურნა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისათვის;

- კონტრაქტორების მოძიება და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება სეპარირებული ნარჩენების გატანა-აღდგენასთან დაკავშირებით;
- ეკოგანათლებას და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს თანამშრომლების პერიოდულ ტრეინინგებს და ვიზიტორების სათანადო ინფორმირებას, საგანმანათლებლო სპეციალური ტურების ორგანიზებას თემების, სკოლების და მოსახლეობისათვის, საინფორმაციო ბროშურების პერიოდულ დარიგებას, დაცული ტერიტორიის და მისი საზღვრისპირა მგრძნობიარე უბნების აღჭურვას შესაბამისი საინფორმაციო ნიშნებით და ბანერებით;
- ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემების შეგროვებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ მიზნის მისაღწევად ადმინისტრაციას უნდა ყავდეს გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირი. აღნიშნული საკონტაქტო პირის კომპეტენცია იქნება სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიების მოძიება, მათთან კომუნიკაცია და სახიფათო ნარჩენნების გადაცემა.

13 დანართები

სამუშაო შეხვედრის ოქმი

ოქმი

02.12.2024

სამუშაო შეხვედრა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმასთან დაკავშირებით

2024 წლის 2 დეკემბერს ონლაინ რეჟიმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარული დაცული ტერიტორიების და ნარჩენების მართვის გეგმასთან დაკავშირებით.

შეხვედრის ფოტო საილუსტრაციო მასალა მოცემულია ქვემოთ.

შეხვედრას ესწრებოდა სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ თანამშრომლები, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“-ს წარმომადგენლები, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) წარმომადგენლები; ბორჯომის, ხარაგაულის, ახალციხის, ხაშურის და ადიგენის მუმნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ნარჩენების მართვის გეგმის ავტორი კომპანიის (შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“) თანამშრომლები და სხვა. შეხვედრის დროს მიმდინარეობა აუდიო ჩაწერა და ფოტოგადაღება.

შეხვედრა გახსნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნატა სულთანიშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მნიშვნელობაზე, რაც დაცული ტერიტორიების შენარჩუნებისა და დაცვის მიზნებს ემსახურება. ქალბატონმა ნატამ ხაზი გაუსვა ეროვნულ პარკში ნარჩენების მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობას.

შეკრებილ საზოგადოებას ნარჩენების მართვის გეგმის საპრეზენტაციო მასალა გააცნო შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“-ს თანამშრომელმა გიორგი ბჟალავამ. მიმოხილული იქნა ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების მიზნები და ამოცანები, სამუშაო პროცესი და მეთოდოლოგია. ხაზი გაესვა, რომ ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის, ასევე საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად.

პრეზენტაციის პროცესში წარმოდგენილი იქნა ბორჯომ-ხარხგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკა. განხილული იქნა კომპეტენციები ნარჩენების მართვის პროცესში. რაც მთავარია ყურადღება დაეთმო ამ თვალსაზრისით სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს. დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ნარჩენებით დაბინძურებული ან დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ლოკაციების შესახებ. შემოთავაზებული იქნა არსებული პრობლემების გამოსწორების გზები, ნარჩენების მართვის სხვადასხვა ალტერნატივები. დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილდა ნარჩენების მართვის შემოთავაზებულ ღონისძებებზე, მათ შორის ნარჩენების პრევენციის, შემცირების, ტრანსპორტირების, საბოლოო განთავსების ან აღდგენის მიმართულებით. დისკუსიის რეჟიმში წარიმართა საუბარი ნარჩენების მართვის პროცესში დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის და თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციების შესახებ.

დასასრულს მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მათი მხრიდან შესაბამისი შენიშვნების, რეკომენდაციების და მოსაზრებების წარმოდგენის მნიშვნელობას ნარჩენების მართვის გეგმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ შეხვედრა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საჯარო განხილვის პროცესში დასმული კითხვების, შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ინფორმაცია სამუშაო შეხვედრების დროს დასმული კითხვების, შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

№	შეკითხვა/შენიშვნა/წინადადება	პასუხი/რეაგირება
2024 წლის 2 დეკემბერს ჩატარდა დოკუმენტის განხილვა (ონლაინ რეჟიმში) დაინტერესებული მხარეების ჩართულობით		
1.	ტყეკაფებში რა მოვიმოქმედოთ ნარჩენების მართვის კუთხით?	რეკომენდაცია გაცემულია, იხ. პუნქტი 6.4.1
2.	არსებობს თუ არა რეგულაციები, როგორ განვათავსოთ საინფორმაციო ნიშნები დაცულ ტერიტორიაზე?	ამჟამად, ეროვნული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ასეთ რეგულაციას. საინფორმაციო ნიშნის განთავსების დროს გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები როგორც - ხილვადობა, ადგილის რელიეფი, კლიმატური პირობები და სხვა.
3.	რეკომენდაციების ნაწილს დაემატოს პუნქტი - ადმინისტრაციაში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირის გამოყოფაზე.	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 12
4.	რეკომენდაციების ნაწილს დაემატოს პუნქტი სახიფათო ნარჩენების შენახვის უბნის მოწყობის თაობაზე	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 12
2024 წლის 13 ივნისს გამართული სამუშაო შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან (შენიშვნების ნაწილი წინასწარ მოწოდებული იქნა ელექტრონული ფორმით):		
1.	ნარჩენების მართვის გეგმის პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030) და ეროვნული სამოქმედო გეგმის (2022-2026) მოთხოვნებთან.	დოკუმენტის მომზადრების პროცესში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნა აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნები. მათ შორის ნარჩენების კლასიფიკაცია მოხდა აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად. ასევე გათვალისწინებული იქნა დოკუმენტში წარმოდგენილი მოთხოვნები ნარჩენების მართვის სხვადასხვა ეტაპზე.
2.	მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმა არ აღემატებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმის 5 წლიან ვადას.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. დპარაგრაფი 4.

3.	ნარჩენების მართვის გეგმაში მოცემული უნდა იქნას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული ქმედებები შესრულების ვადების მითითებით. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს კონკრეტული ქმედებები ვიზიტორთა მხრიდან ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის (კონტეინერებით უზრუნველყოფა, საინფორმაციო დაფა/აბრა და სხვ.) ღონისძიებების შესახებ.	აღნიშნული საკითხები განხილულია შემდეგ პარაგრაფებში: 9 და 10.
4.	გეგმის პროექტის თანახმად, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე მშენებლობა-ოპერირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ვალდებულება (მათ შორის ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება) დაეკისრება. ამასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნარჩენების წარმომქმნელი და ნარჩენების მფლობელი ვალდებული არიან, ნარჩენები თავად დაამუშაონ ან შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მიზნით გადასცენ შესაბამისი უფლების მქონე პირებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.	შენიშვნა გათვალისწინებულია ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადების საკითხი დარეგულირდება სააგენტოს და ინვესტორს/ მშენებელ კომპანიას შორის გაფორმებული შიდა ხელშეკრულერების საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში ინდივიდუალური ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მოხდება სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს სახელით.
5.	ნარჩენების მართვის კოდექსის და შესაბამისი ევრორეგულაციის თანახმად ნარჩენების მართვა ხორციელდება 4 ძირითადი პრინციპის შესაბამისად: „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“, „დამბინძურებელი იხდის“ „სიახლოვის პრინციპი“ და „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“. ხოლო, პროექტში მითითებული პრინციპი - კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.	„გამოგაქვს ის რაც შეგაქვს“ ტერმინი რაიმე პირდაპირ კავშირში არ არის ნარჩენების მართვის კოდექსის და შესაბამისი ევრორეგულაციის ძირითად პრინციპებთან. ეს ტერმინი ხშირად გხვდება სხვა ანალოგიური ობიექტებისთვის მომზადებულ ნარჩენების მართვის გეგმებში. ტერმინი უბრალოდ მიანიშნებს, რომ ვიზიტორების მიერ მოხდება საკუთარი ნარჩენების გამოტანა და არ მოხდება დაცული ტერიტორიების საზღვრებში ნარჩენების შესაგროვებელი ინფრასტრუქტურის განთავსება.
6.	დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების კოდები და მათი განთავსების/აღდგენის კოდები	ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების კოდები, ასევე განთავსების/აღდგენის კოდები მოცემულია ცხრილებში 6.1.1. და 9.4.1.
7.	დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ სავარაუდო კომპანიების ჩამონათვალი, რომლებსაც გადაეცემა ნარჩენები შემდგომი აღდგენა-განთავსების მიზნით.	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. იხ. პარაგრაფი 9.4., ცხრილი 9.4.1.